პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 65 (20711) — სამშაბათი, 20 მარტი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 15 მარტს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე, მესამე ყრილობის მუშაობის დამთავრებისთანავე კრემლში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია.

პრეზიდენტმა თქვა: საღამო მშვიდობისა, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო ამხანაგებო! დამთავრდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მესამე რიგგარეშე ყრილობა, რომელიც მოვიწვიეთ დიდმნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, ჩვენი ქვეყნის, გარდაქმნის პოლიტიკის კარდინალური საკითხების გადასაწყვეტად. თვით გარდაქმნის პროცესების ლოგიკამ მიგვიყვანა ამ გადაწყვეტილებათა მიღებამდე, რომლებიც დაკავშირებულია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ძირეულ ცვლილებებთან, ჩვენს ისტორიაში პირველად პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღებასთან.

სულ ერთი წლის, ის კი არა, რამდენიმე თვის წინ მიგვაჩნდა, რომ ჩვენს პირობებში ეს არ არის მიზანშეწონილი. ახლა მოვლენებს მეტი დინამიკა მიენიჭა, პროცესები წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ჩვენ თვეების მანძილზე გავდივართ გზას, რომელსაც ევოლუციის პირობებში ალბათ ათწლეულებს მოვუნდებოდით. ამიტომ ის, რაც რამდენიმე თვის წინ სწორი გვეგონა, ახალ პირობებში უკვე აღარ არის საკმარისი. სწორედ დემოკრატიზაციის პროცესებმა, რომლებმაც მოიცვეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფერო, ეკონომიკა, პოლიტიკური პროცესი, სოციალური და კულტურული სფეროები, დეცენტრალიზაცია, საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნა, ყოველივე ამან ცენტრიდანული ხასიათის მძლავრი ძალები გამოიწვია. და ჩვენ ვიგრძნეთ, რომ საჭიროა საპირწონეები, ისეთი მექანიზმები, რომლებიც გააწონასწორებდნენ ამ პროცესებს, რათა ჩვენს ხომალდს ტორტმანი არ დაეწყო.

ახლანდელი მწვავე სიტუაცია გარდაქმნის დაჩქარების მოთხოვნილება ასევე გვიკარნახებდნენ ჩვენი შესრულების მექანიზმის სრულყოფის საჭიროებას. ჩვენ ალმოვაჩინეთ, რომ ბევრი დიდმნიშვნელოვანი კანონ[illegible] თავგან ღრმა ცვლილებებ[illegible] ლოდით, ნელა ხ[illegible] ამას ვერ შეგურიგდებით, საზოგადოება ამის გამო საგონებელშია ჩავარდნილი.

ჩვენ უკუვაგდეთ ერთი სისტემა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული, მაგრამ არ აგვიმოქმედებია ახალი მეთოდები დემოკრატიის, რადიკალური ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმის პირობებში. საზოგადოება თითქოს გარდამავალ ეტაპზე აღმოჩნდა, მას დიდი განსაცდელი დაუდგა, შეიქმნა დესტაბილიზაციის საფრთხე. საჭიროა ეს გარდამავალი პერიოდი შეგამციროთ, შეკუმშოთ, რამდენადაც შეგვიძლია, უფრო სწრაფად ჩავროთ ახალი მექანიზმები ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ასე რომ, მარტოოდენ სტრატეგიული ჩანაფიქრი კი არ მოითხოვდა კარდინალურ გადაწყვეტებს, არამედ რეალური სიტუაციაც ამასვე გვიკარნახებდა. არ მინდა გაზვიადებად ჩამომართვათ შიდებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობაზე ლაპარაკი, მაგრამ არც მათი დაუფასებლობა ივარგებს.

(დასასრული მე-4 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1990 წლის 16 მარტის დადგენილება

სკკპ XXVIII ყრილობის მოწვევის ვადების, პარტიაში ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მოწყობის, ყრილობის დელეგატთა წარმომადგენლობის ნორმისა და არჩევის წესის შესახებ

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესაცვლელად მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXVIII ყრილობა 1990 წლის 2 ივნისს ქ. მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

2. შეტანილ იქნეს ყრილობის განსახილველად შემდეგი საკითხები:

1) გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მომხსენებელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

2) სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში. მომხსენებელი — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ა. ნიზოვცევი.

3) სკკპ პლატფორმა „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისათვის".

4) სკკპ წესდება.

5) დებულება სკკპ ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შესახებ.

6) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

მიზანშეწონლად ჩაითვალოს, რომ სკკპ პლატფორმასთან და წესდებასთან დაკავშირებული საკითხები გამუქდეს პირველი საკითხის შესახებ მოხსენებაში.

3. დაწესდეს სკკპ XXVIII ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა — თითო დელეგატი 4 ათასი პარტიის წევრისაგან.

4. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მოიწყოს სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნები ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, მეტოქეობისა და ალტერნატიულობის ვითარებაში, ყველა კომუნისტის უშუალო მონაწილეობით.

მიღებულ იქნეს სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის წესის შესახებ წინადადებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო პოლიტიკის საკითხთა კომისიამ შეიმუშავა პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტებისა და უპარტიოების წინადადებათა საფუძველზე (თან ერთვის).

მიღებული წესის შესაბამისად, არჩეულ დელეგატთა სიებს აფორმებენ და სკკპ XXVIII ყრილობას წარუდგენენ საოლქო და სამხარეო პარტიული კონფერენციები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები. უკრაინის, ბელორუსის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებში — საოლქო პარტიული კონფერენციები. ქ. მოსკოვში — სკკპ რაიონული კონფერენციები.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს იჩრჩევენ შეიარაღებული ძალების შესაბამისი გაერთიანებების, ჯარების გვარეობებისა და სახეობების პარტიულ კონფერენციებზე.

საზღვარგარეთ არსებული საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებს იჩრჩევენ თავიანთ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ქ. მოსკოვში გაიმართება.

5. პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მოწყობის წესსა და ვადებს ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები სკკპ სამხარეო, საოლქო კომიტეტები რუსეთის ფედერაციაში.

საქალაქო (რაიონული პარტიული სტრუქტურის მქონე ქალაქებში), საოკრუგო, საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობების დელეგატთა არჩევნების წესს განსაზღვრავენ შესაბამისი პარტიული კომიტეტების პლენუმები. რჩევა მიეცეთ, კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატთა არჩევნებისა და პარტიული ორგანოების ფორმირების დროს გამოიყენონ მიდგომები, რომლებიც დაწესებულია სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნებისათვის ამ დადგენილებით, და სკკპ ახალი წესდების პროექტის დებულებანი.

6. კონფერენციებისა და ყრილობების დელეგატთა არჩევნების, აგრეთვე ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების დემოკრატიზაციის მიზნით დადგინდეს:

არჩეულად ითვლებიან კანდიდატები, რომლებიც დააგროვებენ ყველაზე მეტ ხმას სხვა კანდიდატებთან შედარებით, მაგრამ კრების მონაწილე სკკპ წევრთა, კონფერენციის, ყრილობის დელეგატთა, პარტიული კომიტეტის ან სხვა არჩევითი ორგანოს წევრთა ხმების ნახევარზე მეტს;

პარტიულ ცრებას, კონფერენციას, ყრილობას, რომლებიც შესაბამისი პარტორგანიზაციის ან კომპარტიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენენ, უფლება აქვთ გადაწყვიტონ პარტიული კომიტეტის პირველი მდივნის (მდივნის) ან სხვა არჩევითი პირის არჩევის საკითხი კრების, კონფერენციის ან ყრილობის მთელი შემადგენლობის მიერ. ამასთან დგინდება მომავალში კონკრეტული არჩევითი პირის შეცვლის წესი.

იხელმძღვანელონ ამ დებულებებით სკკპ ახალი წესდების მიღებამდე.

7. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე ღრმად და ყოველმხრივ განიხილონ პარტიულ ორგანიზაციებში არსებული ვითარება, პარტიული მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესების ღონისძიებანი, იმსჯელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმის, სკკპ წესდების პროექტების შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ანგარიშგება-არჩევნებმა, პარტიის ყრილობის მთელმა სამზადისმა საშუალება მოგვცეს გამოვავლინოთ კომუნისტთა განსხვავებული შეხედულებანი, მოვწყოს ისინი ყოველგვარი აზრის, უმცირესობის მიერ თავისი პოზიციის გამოხატვის უფლებისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულების სულისკვეთებით. უნდა უზრუნველყოთ კრებების, კონფერენციებისა და ყრილობების კონსტრუქციული ხასიათი, იმ წინადადებათა კოლექტიური შემუშავება, რომლებიც ეძღვნება საზოგადოებაში პარტიის როლისა და საქმიანობის, მისი საშინაო ცხოვრების დემოკრატიზაციის ცარდინალურ საკითხებს, პარტიული მასის ხელისუფლების დამკვიდრებას.

სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისმა ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტთა იდეურ და ორგანიზაციულ კონსოლიდაციას, თითოეული პარტიული ორგანიზაციის ქმედუნარიანობის გაძლიერებას, საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავანგარდული როლის განმტკიცებას, მის გაპარტიულებას გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების გადაწყვეტაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ ჩავაბათ პარტიულ მუშაობაში ახალი, მხნე ძალები გარდაქმნის საქმის ერთგულ კომუნისტთა რიცხვიდან, რომლებსაც მხარს უჭერენ პარტიული ორგანიზაციის, ფლობენ პარტიულ-პოლიტიკურ მეთოდებს, დავაწინაუროთ პარტიაში ხელმძღვანელ როლებზე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ მიანიჭონ ქმედითი ხასიათი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლებას პარტიის XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

8. XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დებულებათა შესაბამისად, მომავალ პარტიულ ყრილობებსა და კონფერენციებზე შეიძლება არჩეულ იქნენ ერთიანი საკოორდინაციო-სარევიზიო კომისიები. თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში სკკპ XXVIII ყრილობამდე საკოორდინაციო-სარევიზიო კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული დროებითი დებულებით („იზვესტია ცკ კპსს", № 1, 1989 წ.).

9. დაევალოს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განახორციელოს სკკპ XXVIII ყრილობის სამზადისთან დაკავშირებული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა და წევრობის კანდიდატთა, ადგილობრივი პარტიული აქტივის ფართო მონაწილეობით, ღიად და საჯაროდ. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას ყრილობაზე (არჩეულ დელეგატთა რიცხვიდან კომისიები (ჯგუფები), რომლებიც შეიმუშავებენ ძირითად დოკუმენტებსა და რეზოლუციებს სკკპ ყრილობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1990 წლის 16 მარტის დადგენილება

რუსეთის პარტიული კონფერენციის შესახებ

1. **ვიზანშეწონილად** ჩაითვალოს მოწვეულ იქნეს სკკპ XXVIII ყრილობამდე რუსეთის პარტიული კონფერენცია.

2. დაწესდეს, რომ კონფერენციის დელეგატები იქნებიან რუსეთის ფედერაციის პარტიული ორგანიზაციისაგან სკკპ XXVIII ყრილობაზე არჩეული დელეგატები.

3. დაევალოს კონფერენციის მომზადება და მოწყობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს. შეიქმნას ამ მიზნით მოსამზადებელი კომიტეტი შესაბამისი პარტიული კომიტეტების პლენუმებზე არჩეული სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან (თითო წარმომადგენელი ყოველი ორგანიზაციისაგან).

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

14 მარტს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მორიგი პლენუმი. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ პ. ჩხეიძემ თავის მოხსენებაში გააანალიზა პროფკავშირების ადგილი და როლი დემოკრატიულ გარდაქმნათა სწრაფი განვითარების, რესპუბლიკის მშრომელთა სოციალურ-პოლიტიკური აქტიურობის, დაჩქარებული ზრდის პირობებში. აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემით მობილი დეფორმაციებსა და შეცდომებს, სახელმწიფო წყობილების პრინციპების, ეროვნული და ეკონომიკური პოლიტიკის დამახინჯებას, ხელისუფლების ცენტრალიზმის დამღუპველ შედეგებს მოჰყვა მშრომელთა ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითება. და ამ პროცესში პასუხისმგებლობის თავისი წილი ეკისრებათ საქართველოს პროფკავშირებსაც.

დადგა რესპუბლიკის პროფკავშირულ მოძრაობაში გადამწყვეტ ცვლილებათა დრო, მოძველებული პრინციპების შინაარსიანი განახლებისა და რადიკალური გარდაქმნის დრო, საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დინამიკური განვითარების, „ზამოდან" დოქტრინაზე საბოლოო უარის თქმის დრო. ამ ეტაპზე პირველი რიგის ამოცანაა ფუნქციურად და სტრუქტურულად შეიცვალოს რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც უნდა აიგოს სრული ნებაყოფლობის, თავისთავადობის, მასში შემავალი წევრების მუშაობაში ფაქტობრივი დამოუკიდებლობის საფუძველზე.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს პროფკავშირები ამიერიდან უნდა იყოს თავისთავადი, დამოუკიდებელი, არავის წინაშე ანგარიშვალდებული და არავის კონტროლს დაქვემდებარებული ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც უნდა თანამოქმედებდეს სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მხოლოდ პარიტეტულ, ურთიერთხელსაყრელ და თანასწორუფლებიან საწყისებზე.

საქართველოს პროფკავშირთა სუფერენიტეტი გულისხმობს მის დეპოლიტიზაციას და დეიდეოლოგიზაციას რესპუბლიკური საზოგადოებრივი სისტემის ფარგლებში, როცა იგი სრულიად დამოუკიდებელი იქნება ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციათა გავლენისაგან. იგი უნდა იცავდეს მშრომელთა ინტერესებს მათი პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად.

განუზომლად იზრდება პირველადი პროფორგანიზაციების — რესპუბლიკის მთელი პროფმოძრაობის ქვაკუთხედის როლი. მხოლოდ მაშინ, როცა ისინი განთავისუფლდებიან შემობოჭავი ბიუროკრატული ბორკილისაგან და მიეცემთ უფლება სრულიად დამოუკიდებლად წყვეტდნენ თავიანთი საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, გახდება შესაძლებელი საქართველოს მშრომელთა ინტერესებისა და უფლებების რეალური დაცვა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ორგანიზაციული აგებულების — დარგობრივი, პროფესიული თუ ტერიტორიული აგებულების პრინციპების მიუხედავად, საქართველოს პროფკავშირებმა უნდა გამონახოს გზები, რათა ეფექტიანად შეასრულოს თავისი მთავარი ფუნქცია — ღირსეულად და ნებისმიერ დონეზე დაიცვას რესპუბლიკის მცხოვრებთა სოციალური და ეკონომიკური უფლებები.

პლენუმს წარედგინა მასალები საქართველოს პროფკავშირთა წესდების პროგრამისა და კანონის პროექტების შესამუშავებლად, რომლებიც უნდა მომზადდეს საქართველოს პროფკავშირთა საქმიანობის ძირითად მიმართულებათა ადრე მიღებული კონცეფციის საფუძველზე.

პლენუმის მიერ შექმნილ კომისიებს დაევალათ გაითვალისწინონ რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის, შრომითი კოლექტივების აზრი და ამ საფუძველზე შეიმუშაონ აღნიშნული ნორმატიული აქტები საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, რომელიც მიმდინარე წლის ივნისშია მოწვეული.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 11 მარტს კამათი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ა. პროკოფიევმა.** მან გამოთქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა კონსტიტუციის მეექვსე და მეშვიდე მუხლების შეცვლის თაობაზე სსრ კავშირის კანონის პროექტთან დაკავშირებით. შემოთავაზებული ფორმულირება არსებითად ზედმეტ რედაქციაა იმ მუხლებისა, რომლებსაც უკვე შეიცავს კონსტიტუცია. მიმაჩნია, რომ უწინდარეს ყოვლისა კონსტიტუციაში უნდა შევიტანოთ მუხლი, რომელიც დამამიანებს დაუმკვიდრებდა უფლებას გაერთიანდნენ სხვადასხვა პარტიებსა და საზოგადოებრივ მოძრაობებში. და, ამრიგად, მეშვიდე მუხლი წინ უნდა უძღოდეს კონსტიტუციის მეექვსე მუხლს, თქვა მან.

აქვე ზუსტად უნდა განსაზღვროს პარტიების რეგისტრაციის, აგრეთვე მათი საქმიანობის შეწყვეტის მექანიზმი, რა თქმა უნდა, ამასთან უნდა შევინარჩუნოთ საზოგადოებაში პლიურალიზმის დასაშვები საზღვრების განსაზღვრა, გზა გადავუღობოთ ალიონალისტური, შოვინისტური, მოფაშისტე წარმონაქმნების ჩამოყალიბებას, რომლებიც აღვივებენ სოციალურ, ეროვნულ და რელიგიურ შუღლს.

ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ ახალ კანონში ცალკე არ უნდა გამოიყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც ეს მეექვსე მუხლის შემოთავაზებული რედაქციით არის გათვალისწინებული. ამ მუხლში, ორატორის აზრით, საჭირო უფრო ზუსტად ჩამოყალიბდეს საერთო პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სფერო. ეს საქმიანობა ვერ ექვემდებარება ფორმალურ მარტოოდენ საპარლამენტო მოწვეწეობით, როგორც ეს პროექტშია ჩაწერილი.

ჩვენი პოზიციის არსი ის არის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციამ და სხვა საკანონმდებლო აქტებმა ყოველ პარტიას დაუმკვიდრონ უფლება განახორციელონ თავიანთი პოლიტიკა როგორც წარმოებაში, ისე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი პარტიული ორგანიზაციების მეშვეობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით, სახალხო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული და სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე პარტიის წევრების მეშვეობით. ეს პრინციპული საკითხია, თქვა ორატორმა. აღნიშნული დებულებახი უნდა შეეტანოთ კანონს პროექტში. ახლანდელი რედაქციით კანონმა შეიძლება დაბრკოლებები შეუქმნას პარტიის აქტიურ მუშაობას შრომითს კოლექტივებში, გახდეს იმის რეალური საფუძველი, რომ გაუქმდეს პარტიული ორგანიზაციები საწარმო-დაწესებულებებში. ხოლო ამას შეიძლება მოჰყვეს პარტიის ორგანიზაციული ნგრევა და ჩვენ კარგად ვიცით ეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სავალალო გამოცდილების მაგალითით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხლების შეცვლა ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად თვლის პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის მიღებას, განაგრძო ორატორმა. და მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა ისარგებლოს საკანონმდებლო ინიციატივის მოთხოვნით, მოამზადოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შესახებ კანონის პროექტი. პროექტში დეტალიზებული უნდა იყოს პარტიის რეგისტრაციისათვის საჭირო შექმნის მომხრეთა რიცხოვნობის იერარქიული ნორმები, პარტიების პასუხისმგებლობა მათი პოლიტიკური საქმიანობისათვის, პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შეწყვეტის წესი, არჩევნების კანონიები, წარმომადგენლობითი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა და სხვა საკითხები. თუ ასეთი კანონი არ გვექნა, ჩვენ ვერ განვახორციელებთ ეკონომიკის დემოკრატიზაციას, პოლიტიკური ცხოვრების თავისუფლებას.

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ჯუმაგულოვი** შეეხო ეკონომიკაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციას, და აღნიშნა, რომ ვერ ჭრის რეფორმა, ეკონომიკური ბერკეტები. მაგრამ განა სამართლიანია, ეს დაბრალოთ მხოლოდ მთავრობას და მის ხელმძღვანელობას, ისე, რომ არ დაიცადო შემოქმედებითი მუშაობა და არსებითად გამოჭეტო კაბინეტებში?

მე ვფიქრობ, ხაზი გაუსვა ორატორმა, რომ სენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, ჩვენ ყველას დიდი სიბრძნე გვმართებს, არ უნდა ავყვეთ ამწუთიერ ინტერესებს და არ უნდა ავჩქარდეთ ჩვენი პოლიტიკის სტრატეგიის არჩევაში, არ უნდა გავწიროთ ჩვენი იდეალები.

მოუტევებელი შეცდომა იქნებოდა, განაგრძო მან, არ მიგვეღო ქმედითი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გამოვიყვანოთ პარტია კრიზისული მდგომარეობიდან. საშინელი ბარტო ის კი არ არის, რომ „დესტრუქციული პოლიტიკური ძალები ინარჩევენ ჩვენი პარტიის ერთიანობას, უფრო საშინელია სხვა რამ. სახელდობრ ის, რომ ბთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არ სრულდება სკკპ წესდება, პარტიის საპროგრამო მითითებანი, არსებითად არ მოქმედებს სკკპ პლატფორმა ერთიანი საკითხზე და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ბევრი სხვა გადაწყვეტილება. არ არის კონტროლი. კომუნისტთა ერთ ნაწილი უკვე დაუფარავად გისმინეს მოწოდებები მოვაცილოთ პარტია პოლიტიკური ასპარეზს, დავაწყაბას მივცეთ ჩვენი ფუძემდებელი მოძღვრება, მარქსიზმ-ლენინიზმი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვგრძნობთ ვერც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და ვერც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აქტიურ პოზიციას.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ამკარად სდებენ ბრალს ძალაუფლების უზურპაციაში, განაცხადა ორატორმა. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. გაიხსენეთ, პარტიის ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაში, რომელიც ახლახან მიგიღეთ, პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ საბჭოთა კავშირს კომუნისტური პარტია არ აცხადებს პრეტენზიას მონოპოლიაზე, უპირატესობაზე, სსრ კავშირის კონსტიტუციაში თავიანი განსაკუთრებული მდგომარეობის დამკვიდრებაზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს კომუნისტურმა პარტიამ უნდა დატოვოს პოლიტიკური ასპარეზი, მოიხსნას პასუხისმგებლობა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისათვის, მისივე დაწყებული გარდაქმნისათვის.

ქვეყანაში არ არის, და უახლოეს ხანებში ალბათ არც იქნება ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს იკისროს პასუხისმგებლობა გარდაქმნის ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციისათვის, რომელსაც შეეძლება მოგვეგვლინოს პოლიტიკური ავანგარდის ნოლი. ეს ესმით ყველას — კომუნისტებსაც და უპარტიოებსაც. ჩვენი ღრმა რწმენით, ცდებს — ხელიდან გამოსტაცონ პარტიას გარდაქმნისა და განახლების საქმე, ცდებს — გადაწყვიტონ საზოგადოების გამწვავებული პრობლემები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განუახლებლად,— მოჰყვება კიდევ უფრო მეტი დესტაბილიზაცია, და ისინი დაამუხრუჭებენ გარდაქმნას, ამ თვალსაზრისს იზიარებს ყირგიზეთის რესპუბლიკის კომუნისტთა და უპარტიოთა აბსოლუტური უმრავლესობა.

ყირგიზეთის სსრ მთავრობის მეთაურმა მზარი დაუჭირა წინადადებებს პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ყრილობამდე მოწყობის შესახებ და თქვა, რომ რესპუბლიკის კომუნისტთა უმეტესი ნაწილი საჭიროდ ცნობს, რომ ყრილობის დელეგატთა არჩევნები იყოს პირდაპირი, ფარული, ალტერნატიული, ვფიქრობ, ასეთი მიდგომის მეოხებით ყრილობაზე წარსაგზავნად ავირჩევთ სწორედ იმ კომუნისტებს, რომლთა პოზიციები ახლობელი და გასაგებია რიგითი პარტიელებისათვის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეექვსე მუხლთან დაკავშირებით გაგრძელებული დისკუსია ნებით თუ უნებლიედ გვაფიქრებინებს, რომ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში ბევრნი ზედავენ ზედაპირულ, და არა სიღრმეულ პროცესებს, თქვა ყაზახეთის კომპარტიის ჯამბულის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ხ. ბ. ბაიგანოვმა.** არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელი როლის კონსტიტუციურმა დამკვიდრებამ არსებითად არაფერი შემატა სტატუს-კვოს, არ აუმაღლა ავტორიტეტი. ეს ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პლატფორმის პროექტშიც.

მართლაც, მეექვსე მუხლი არსებობს 12 წელია, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება— 72 წლისაა. და მეელი ამ დროის მანძილზე კომუნისტური პარტია ნამდვილად იყო საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. დარწმუნებული ვარ, ადამიანთა, მათ შორის, აქ მსხდომთა უმრავლესობას არც კი მიუქცევია ყურადღება კონსტიტუციის ახალი მუხლისათვის, რომელიც 1977 წელს გაჩნდა, რადგან პარტიულმა ორგანოებმა, მათმა ხელმძღვანელებმა აქამდე დიდი ხნით ადრე აიღეს ხელი მმართველობის სადავე. ამრიგად, მთავარია არა მეექვსე მუხლი, არამედ პოზიციური ძალების მისწრაფება — ჩამოაცილონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ადეკვატურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობას.

ვფიქრობ, ჩვენ, კომუნისტთა ახლახდელ თაობას, უფლება არა გვაქვს დავუშვათ ეს, ისტორია არ გვაპატიებს ასეთ შეცდომას. ახლახდელ ვითარებაში ერთადერთ ძალას, რომელსაც მეტხაკლებად შეუძლია გაერთიანოს ჯანსაღი ძალები, კოორდინაცია გაუწიოს ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის მოქმედებას და დაცროს დაძაბულობა ქვეყანაში, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი ძირფესვიანი გახახლების პირობებში.

ამიტომ ჩვენ ახლა არ უნდა გავიღვლვიდეს მეექვსე მუხლის ბედი. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავაჩქაროთ დემოკრატიზაციის პროცესი თვით პარტიაში, როგორ მივაღწიოთ იმას, რომ პარტია უბრალოდ კი არ აცხადებდეს ქვეყნის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის ძირეულ ინტერესებს, არამედ თავისი აქტიური მოქმედებით ამტკიცებდეს, რომ იგი ნამდვილად გამოხატავს ამ ინტერესებს.

ჩვენი პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, პარტიული აქტივი ბოლო დროს ზშირად ხვდებიან კომუნისტებსა და უპარტიოებს. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ახლანდელ რთულ ვითარებაში ხალხის უმრავლესობას სწამს პარტიის ლიმშენებლობითი ძალა. ორატორმა აღნიშნა, რომ შეხვედრებზე კომუნისტები და უპარტიოები ლაპარაკობენ სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის გაუმართლებელ გაბერვაზე, სამეურნეო ცხოვრების ყოვლისმომცველ რეგლამენტაციაზე. ადამიანები არცთუ იშვიათად ბრალს სდებენ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს ცენტრალურ უწყებათა ბიუროკრატიზმისათვის, იმისათვის, რომ ისინი ცუდად გადაწყვეტენ. შემჩნეულია, რომ ბევრი სამინისტრო ჩუმჩუმად ბერავს შტატებს, ხელიდან არ უშვებს ძირითადი მოწყობილობის, მასალების ფონდებს, თვითონ ანაწილებს პროდუქციას, არად აგდებს საწარმოებისა და მოსახლეობის საჭიროებებს. ისინი სხვადასხვა ნორმატივებით ახსნ უკარგავენ საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პროცესს. ძნელია, ყოველივე ეს აუხსნა შრომითს კოლექტივებს, თქვა საოლქო კომიტეტის პირველი მდივანმა. ამიტომ უნდა დავაჩქაროთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის, რომელიც ჯერ ვცხოვრობთ, საერთოდ სამომავლოდ არის გამიზნული. იქნებ, სსრ კავშირის კონსტიტუციისათვის ეს სწორიც იყოს. ოდესღაც ბევრი პოლიტიკური პარტია გვქონდა. მაგრამ, დამეთანხმებით, დღესდღეობით კომუნისტური პარტია — ეს არის რეალობა, ეს არის საზოგადოების მაკონსოლიდირებელი პოლიტიკური ძალა, ეს არის მმართველი პარტია, მაშინაც კი, თუ მის ხელმძღვანელურ როლს გამოვრიცხავთ. და ექნებით თუ არა სხვა პარტიებს ან მოძრაობებს ისეთივე მდგომარეობა, როგორიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას აქვს, — ეს ჯერ კიდევ საკითხავია. დღეს ჩვენ მტკიცედ უნდა განვსაზღვროთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ადგილი ჩვენს საზოგადოებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ამუშავებს პოლიტიკას, იღვწის იმისათვის, რომ იგი ცხოს ხალხმა, და ამით, ჩემი აზრით, უკვე არსებითად განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მასობრივი მოძრაობისაგან, რომლებსაც ჩვენ საზოგადოებაში ვხედავთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(მაგრძელება)

ჯერ ერთი, კონსტიტუციით უნდა დამკვიდრდეს დებულებანი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებად. ჩვეულებრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურად იგულისხმება პარტია, აგრეთვე სხვა ორგანიზაციები, მათ შორის, ახალგაზრდულიც, ოღონდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისა; მეორე; კონსტიტუცია უსათუოდ უნდა შეიცავდეს დებულებებს იმის თაობაზე, რომ ყველა საზოგადოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობა უნდა იყოს კონსტიტუციური და შეესაბამებოდეს საზოგადოებაში მოქმედ კანონებს. კონსტიტუციით დამკვიდრებული ეს მნიშვნელოვანი დებულება მთლიანად შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას და მისი კონსტიტუციიდან გამოგდება ან დაკარგვა არამც და არამც არ შეიძლება.

კონსტიტუციაში უთუოდ უნდა იყოს მონიშნული შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რეგისტრაციის იურიდიული, სამართლებრივი დაბრკოლებები. აკრძალვა უნდა დაუწესდეს ორგანიზაციებს, რომლებიც საქმიანობის ძალადობრივ მეთოდებს ჰქადაგებენ, ყოველგვარი ძალადობა, რის წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული, მიუღებელია, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და კანონმდებლობას, მათ შორის სისხლის სამართლისას. ტერმინი „ძალადობრივი“ აქ უსათუოდ უნდა დარჩეს. თორემ ისე გამოვა, რომ ჩვენ კვლავ ვცდილობთ ეშმაკური იურიდიული ფორმულირებების ეშვეფეშ დავაყენოთ ისეთი საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ირსებობა, რომლებიც ჰქადაგებენ შეხედულებებს, მთლად რომ არ შეესაბამება ჩვენს საკუთარ თვალსაზრისს. თანამედროვე ვითარებაში აქ უაღრესი სიფრთხილე გვმართებს.

ორატორმა წინადადება წამოაყენა ამოგდებულ იქნეს ამ მუხლებიდან კოოპერატივები, ვინაიდან ეს არის არა საზოგადოებრივი და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, არამედ სამეურნეო, საქონლის მწარმოებელი და მომსახურე ორგანიზაციები. კოოპერატივები შეიძლება აღინიშნოს კონსტიტუციაში, მაგრამ არა მეექვსე მუხლში, არამედ იქ, სადაც ლაპარაკია საკუთრებაზე.

დასასრულ ვ. თ. იაკოვლევმა ხაზი გაუსვა, რომ არ ივარგებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჩაყენება რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიებულ მდგომარეობაში სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებთან შედარებით. კომუნისტური პარტიის როლს განსაზღვრავდა, განსაზღვრავს დღესაც და განისაზღვრება მომავალში არა იმით, თუ რა არის ჩაწერილი კონსტიტუციაში, არამედ იმით, თუ რამდენად გამოხატავს პარტია ხალხის ინტერესებს. თუკი იგი დარჩება ხალხის პარტიად, მუშათა კლასის გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის პეშმარიტი, ძირეული ინტერესების გამომხატველ პარტიად, მაშასადამე იგი სამუდამოდ შეინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის და ბადალი არ ეყოლება. მაგრამ ეს კონსტიტუციის წყალობით არ უნდა კეთდებოდეს

სიტყვა მეეცა **ვ. ბ. მიშინს**, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს. თქვენი არ ვიცი აღნიშნა მან, მე კი დღეს, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ვერ ვგრძნობი დიდი პატივისცემა ჩვენდამი, იმიტომ, რომ დღეს იძულებული ვარ გამოვიდე ამ ტრიბუნაზე და გამოვთქვა აზრი დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ მეორე სხდომამდე 10-15 წუთით ადრე მივიღეთ.

შეეხო რა დოკუმენტის არსს, ორატორმა თქვა, რომ მისი აზრით, პრინციპულად მხარდასაჭერია ფორმულირება „პარტიები და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკიური, პროფკავშირული, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა. გვარი საზოგადოებრივი ორგანიზაციები“ — შემდეგ როგორც ტექსტშია. ჩვენს რეალურ ცხოვრებაში პარტიები უკვე არსებობს. იგულისხმება არა ყბადაღებული „დემოკრატიული კავშირი“, რომელიც ხმამაღალი გაკკივის და პარტიობას იჩემებს, არამედ, მაგალითად, ლიტვის „საიუდისი“. ეს არის ნამდვილი პოლიტიკური პარტია ყველა ატრიბუტითურთ, რაც მან დაამტკიცა კიდევ უკანასკნელ არჩევნებზე.

შემდეგ გამომსვლელი შეეხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრობლემებს, რომლებიც, როგორც მან თქვა, ძალზე აწუხებს. მისი აზრით, პარტია ისეთ მოჯანზეა, რომლის იქით მძიმე მომავალი მოჩანს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგთა შეფასებებით, ჩვენს საზოგადოებაში პირველად არის, რომ იმათი რიცხვი, ვისაც სწამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრესული როლი, ნაკლებია იმ ნაწილთან შედარებით, რომელსაც ეს როლი არ სწამს. სწორედ ეს არის პარტიისადმი ნდობის კრიზისის რაოდენობრივი განზომილება. შევძლებთ თუ კერა გარდავტეხოთ ეს ტენდენცია — ფართო მასებში პარტიის ავტორიტეტის დაკნინება სულაც არ არის რიტორიკული კითხვა, არ არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და, შესაძლოა, მთელი საბჭოთა საზოგადოების ყოფნა-არყოფნის საკითხი და მისი გადაწყვეტა ყველაზე მეტად ორ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ჯერ ერთი, იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება პარტიის საპროგრამო დოკუმენტები (საქმე ეხება როგორც პლატფორმას, ისე წესდებას) საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ხასიათს, რამდენად გამოხატავენ ისინი ხალხის ინტერესებს, და რამდენად იქნებიან მიმზიდველნი ახალგაზრდობისათვის. და მეორე, რამდენად მიმზიდველნი იქნებიან იმ პოლიტიკურ ლიდერთა პიროვნებანი, რომლებიც პარტიას განსაზღვრავენ მასების შეგნებაში.

ცნობილია, რომ ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა პოლიტიბიუროში წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ცივად უყურობენ მათ ჩვენი ლიდერები თავიანთ გამოსვლებში. ვ. მ. მიშინმა მაგალითად მოიყვანა მწერალ ა. პრისტაკინის ინტერვიუ: „ბარდაქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას კი არ დაუწყია, იგი დაიწყო მარტოკაცმა გორბაჩოვმა. დაიწყო პარტიის საწინააღმდეგოდ და განაგრძობს მის საწინააღმდეგოდ. უფრო მეტიც, გარდაქმნის ხუთმა წელიწადმა გვიჩვენა, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაა მისი ძირითადი მუხრუჭი. ვფიქრობ, ასეთ თვალსაზრისს ყოველი ჩვენგანი არაერთგზის წაწყდომია. ავიღოთ, თუნდაც, თებერვლის ორი მიტინგი მოსკოვში. რა თქმა უნდა, შეიძლება არ შეიმჩნიო ეს გარემოება, რომელიც, ჩემი აზრით, მთლად სახარებელი არ უნდა იყოს არც თვით მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვისათვის, შეიძლება იგი დაიბარალო ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ინსინუაციებს. მაგრამ მიმაჩნია, რომ პარტიისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა დაენახა ამაში სერიოზული გაფრთხილება და იცნო ობიექტური საფუძვლები მსგავსი აზრების გავრცელებისათვის.

რაც უფრო ხშირად გამოდის ფართო აუდიტორიის წინაშე, ვთქვათ, იაგორ კოზმას ძე ლიგაჩოვი, მით უფრო ცხადად უკაკშირებენ მის სახელს ისეთ ცნებებს, როგორიცაა „პარტიის კონსერვატიული ძალები“, მარჯვენა ფრთა“, „დემოკრატიულ ცვლილებათა მოწინააღმდეგენი“. საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ჯერ-ჯერობით პატივი მოაგო ი. კ. ლიგაჩოვს ღვაწლს, პირად პატიოსნებას, პრინციპულობას, და ამასთანავე დასძინა, რომ პოლიტიკური ლიდერის სახე ყალიბდება და იცვლება არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა გარემოებათა გავლენით, რომლებიც ხშირად არ არის დამოკიდებული თვით ადამიანების ნება-სურვილზე, ლიგაჩოვ-პოლიტიკოსის იერსახე გუშინ არ ჩამოყალიბებულა. მისთვის დამახასიათებელია „ისეთი ნიშნები, როგორიც არის პირშემოქმედება, გამბედაობა, სიმტკიცე და მიზანსწრაფვა, საკუთარი სიმართლის რწმენა. სულ ცოტა ხნის წინ ეს თვისებები ითვლებოდა ეშეშმარიტი პარტიელის ღირსებად, ხელს უწყობდა პარტიის ამოსვლას უძრაობის ჭაობიდან, რომელიც ამრავლებდა მავნებლობას, უსაზღვრობასა და ზედაფენებისადმი შემაუებლობას.

მაგრამ ახლა სხვა დროა. ცხოვრება პარტიის ლიდერებს უკარნახებს ახალ მოთხოვნებს: უნარს — აღიქვას და გააანალიზოს უამრავი საწინააღმდეგო მოსაზრება, ეძებოს კონსენსუსი, არ დაკარგოს არჩეული ორიენტირები, შეეძლოს დარწმუნება ლოგიკური აზროვნებით, და არა მარტო მტკიცე ხასიათით, პროფესიონალის კომპეტენტურობით, და არა კომისარული ჯიქურობით. ისარგებლა რა თავისი უფლებით, როგორც ამხანაგმა პარტიიდან და სკკპ ცენტრალური კოთეტიდან, ორატორმა ი. კ. ლიგაჩოვს სთხოვა ერთხელ კიდევ ვულაპარაკოთ აწონ-დაწონილ ყველა გარემოება, ქვაყანასა და პარტიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და თავისი ნებით გადადგეს, გადავდეს სხვა სამუშაოზე ან დაესახურებულ პენსიაზე. გადადგომა თქვა მან დასასრულს, ტრაგედია არ არის, არც დამარცხებაა. ეს არის გაცნობიერებული ნაბიჯი იმ კაცისა, ვინც „ეგეთ საქმეო თავისი საქმე, შეასრულა თავისი როლი.

ტრიბუნაზეა **ვ. ი. ბროიკოვი**, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რეპუბლიკაში. მან აღნიშნა, რომ პარტიის ბედის გამო შეშფოთება აიიულების მოწაწილეობდეს ამ სხა-ბაასში. ოთხი წლის წინ გაიმართა სკკპ XXVII ყრილობა. ყრილობამ ძალაცრად, კრიტიკულად მიმოიხილა წარსული, შეიმუშავა ისტორიული მნიშვნელობის, ოპტიმისტური და ამავე დროს რეალური ამოცანები. მოდით, გავაგრძოთ ორატორმა, მივუსაფაროთ ის, რაც ყრილობამ გადაწყვიტა. იმას, რაც ჩვენ სინამდვილეში გამოგვიგია. მაშინვე ვნახავთ, რომ ჩვენ გადავუხვიეთ პარტიის მიერ დასახულ გზას, მივიღეთ სულ სხვა და არა ის შედეგები, რომლებიც მაშინ გავითვალისწინეთ ჩვენი გეგმებით. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ნაცვლად მიმდინარეობს მისი შენელება. მშრომელ ადამიანთა ცხოვრების დონის ამაღლების ნაცვლად შეიმჩნევა მისი დაკვეთება. სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის სისტემის რეფორმირების ნაცვლად მნიშვნელოვანწილად მიმდინარეობს მისი დეფორმირება. და ბოლოს, პარტიის განმტკიცების ნაცვლად მიმდინარეობს მისი დასუსტება და დისკრედიტაცია. მას ეწევიან სხვადასხვა ძალები: ოპოზიციური ძალებიც და ის ძალებიც, რომლებიც ჩვენს პარტიაში მოქმედებენ.

როგორ გავიგოთ ყოველივე ეს? ყრილობა შეცდა შეფასებებსა და დებულებებში, თუ ცენტრალური კომიტეტი, ჩვენ ყველანი, ერთად აღებულნი, ვერ აღმოვჩნდით მოწოდების სიმაღლეზე? გულსატკივნია, მაგრამ სწორედ მეორე უნდა ვაღიაროთ. ცენტრალურმა კომიტეტმა, უწინარესად, მისმა პოლიტბიურომ და სამდივნომ ვერ განმტკიცეს ყრილობაზე მიღებული კურსი ჯეროვანი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობით. და ამაში მე ვხედავ XXVII ყრილობის შემდეგ პარტიის ავტორიტეტის დაკნინების ერთ-ერთ საიდუმლოს, განაცხადა ელჩმა.

უდავოა: პარტია ღირსია კრიტიკისა, ასევე კრიტიკის ღირსია პარტიული აპარატის ნაწილი, ბევრი კომუნისტი, რომლებმაც პარტიის გეზის გამრუდება დაუშვეს ან გადაგვარდნენ. მაგრამ ჩვენ უნდა განვასხვაოთ: თუ კრიტიკა მომდინარეობს პატიოსანი ადამიანებისაგან — ეს ერთია, ხოლო თუ იგი მომდინარეობს ნაირ-ნაირი პოლიტიკური ქამელეონებისაგან, თანაც ისეთებისაგან, ლენინური ფრაზეოლოგიით რომ ინიღბებიან, — ეს სულ სხვა რამაა. ყველაზე საეჭვო ის არის, რომ ზეგით არავინ — არც გენერალურმა მდივანმა, არც მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა — არ განახორციელეს ინსპექტირება ღონისძიებანი იმისათვის, რომ დაეცვათ პარტიის სახელი და ღირსება. კაცმა არ იცის, იმიტომ, რომ ეს მათ ხელს აძლევდეთ, თუ იმიტომ, რომ. თავად ეშინიათ „კრიტიკოსთა“ მხრივ კრტიკისა.

ორატორს მიაჩნია, რომ ეს იწვევს დეზორიენტაციას არა მარტო პარტიაში, არამედ საზოგადოებაშიც. ხალხს ვერ გაუგია, რა ხდება, თქვა მან შემდეგ. თავისი არსებობის მეცხრე თვლეულის მიწურულში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც თითქმის 19 მილიონ კაცს აერთიანებს (ეს კი ქვეყნის ყოველი მე-10 მოქალაქეა), ჯერ არნახული სამშრომლის წინაშე აღმოჩნდა. სულ უფრო მეტად ცდილობენ გადაადგილონ იგი პოლიტიკური ცხოვრების გზისპირზე, გადაქცევენ მმართველი პარტიიდან სპეციერო კლუბად, ღიდი-ღიდი — პარლამენტური თამაშის სუბიექტად. ამის დაშვება, ჩემი აზრით, მოასწავებს კატასტროფას ქვეყნისათვის, ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია და ვერც გვექნება სხვა მაინტეგრირებელი ძალა, სოციალიზმის საფუძვლების ურყეობის სხვა გარანტი. იქნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელმძღვანელები ჩქარობენ წორვა გამოუყვანონ პარტიას, როგორც საზოგადოების წამყვან ძალას, ხოლო გასაუქმებელი პოლიტბიუროს ფუნქციები გადასცენ პრეზიდენტს, განაგრძო ორატორმა. მან გამოთქვა ეჭვი, რომ პრეზიდენტის ხელისუფლებამ იხსნას ქვეყანა თავსდამტყდარი უბედურებებისაგან, აღნიშნა, რომ ასეთ სერიოზულ საქმეზე აუცილებელია საფუძვლიანად მოეთათბირონ ხალხს, და საჭიროდ ცნონ რეფერენდუმი.

მე ვფიქრობ, თუ ორპოფფული ღონისძიებების იმედად ვიქნენთ, ჩვენ ვერ ვიპოვით გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. უნდა მოვიფიქროთ რადიკალური ღონისძიებები, და ყრილობამდე დარჩენილი დრო გამოვიყენოთ სამმხრად, რომ წელში გავმართოთ პარტია, აღვადგინოთ მისი ავტორიტეტი, რათა პარტია წელგამართული გამოვიდეს ყრილობიდან, განაცხადა ორატორმა.

ლიტვის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) დროებითი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **ვ. ნ. შვედმა** აღნიშნა, რომ კონსტიტუციის მეექვსე მუხლის მეცვლის საკითხება, ალბათ, არავის ეეჭვს არ იწვევს. ეს მომწიფდა და, მართლაც, პარტიის როლსა და ავტორიტეტს საზოგადოებაში განსაზღვრავს ადამიანთა ნდობა. მაგრამ ეს სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც დღეს პარტიულ ბილეთს ატარებს, კომუნისტად რჩება არა მარტო პარტბილეთით, არამედ იდეითაც.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით სისტემას, როდესაც პარტბილეთიანი ადამიანები მუხლის გაუქმებისთანავე ივიწყებენ ამ იდეას და სრულიად სხვა იდეების ქადაგებას იწყებენ. და ასეთ სიტუაციაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სამართლებრივი თვალსაზრისით პრაქტიკულად უმწეო და დაუცველი რჩება. არადა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია (მე ვფიქრობ, ამ ეშეშმარიტების გამეორება არ უნდა იყოს საჭირო, მაგრამ, ვინ იცის, ეგებ საჭიროცაა, მთელი ჩვენი სისტემის პოლიტიკური და იდეოლოგიური ხერხემალია. და როდესაც კომუნისტები მოახლოებული მოვლენების წინაშე სამართლებრივი თვალსაზრისით უმწეონი რჩებიან, არცთუ იშვიათად მთელ საზოგადოებაში უაღრესად სერიოზული კოლიზიების საფრთხე იქმნება.

დღეს ეს ითქვა, რომ ლიტვის „საიუდისმა“, როგორც პოლიტიკურმა პარტიამ, დაამტკიცა თავისი უფლება იყოს ხელმძღვანელი. დიახ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებმა ნამდვილად გვიჩვენა, რომ ლიტვის კომპარტიამ სკკპ პლატფორმაზე მხოლოდ ოთხი ადგილი მიიღო. ამასთან ქალაქის რუსულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლები საერთოდ ვერ გავიდნენ პარლამენტში. და საქმე იმდენად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა თუ ლიტვის რეგიონალიზებული კომპარტიის ავტორიტეტი კი არ არის, არამედ ის, რომ რესპუბლიკაში სხვაეროვანი მოსახლეობა დემორალიზებულია, თქვა ორატორმა.

„საიუდისმა“ დიდი საქმე გააკეთა. მან ლიტველ ხალხს დაუსახა მიზანი, და მკვიდრმა მოსახლეობამ მას ერთსულოვნად მისცა ხმა, რასაც ვერ ვიტყვი სხვებზე. მე არ მინდა ერთმანეთს დავუპირისპირო ლიტველები და რუსები. დღეს პრობლემა ის არის, რომ ლიტვის მეცხოვრეობა ნაწილმა დაკარგა პერსპექტივა, მომავლის რწმენა და არ მიუცია ხმა, ხოლო ადამიანები, რომლებმაც დამოუკიდებლობაში დაინახეს ეს პერსპექტივა, წავიდნენ ხმის მისაცემად. ჩვენ, კომუნისტები, ყოველთვის ვერ ვხედავთ ამ პერსპექტივას და ვერ ვაგებინებთ მას ადამიანებს.

მაგრამ ამ სიტუაციაში არც ჩვენს ოპონენტებს აქვთ საქმე მთლად ისე ბრწყინვალედ, როგორც მათ სწადიათ, თქვა ორატორმა. მე, სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს 7-8 მარტის არჩევნების შედეგები, მაგრამ პირველ და მეორე ტურში არჩეულმა ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოს 116 დეპუტატმა (141-დან) რესპუბლიკის ყველა ამომრჩევლის ხმების 36,7 პროცენტი მიიღო. რაც შეეხებათ „საიუდისის“ მომხრეებს — 89 კაცმა 116-დან — ყველა ამომრჩევლის ხმების 28,3 პროცენტი დააგროვა. სადღეისოდ არჩეულია 131 დეპუტატი, მაგრამ საეჭვოა, რომ ამან არსებული ციფრებს 8-10 პროცენტზე მეტი დაუმატოს. ესეც თქვენი ერის მანდატი! მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს უკვე ლიტვის ყველა მცხოვრების სახელით გამოცხადდება 1938 წლის რესპუბლიკის გაგრძელება აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ.

ვ. ნ. შვედმა აღნიშნა, რომ არჩევნებში დამარცხების მიუხედავად ლიტვის კომპარტია სკკპ პლატფორმაზე რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ერთი აშკარად გვიჩვენებ მხარს, მეორენი — მალულად. მაგრამ როგორ მოვახდინოთ მოსახლეობის ამ ნდობის რეალიზაცია? თურმე, სამართლებრივი თვალსაზრისით ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია.

თვალსაჩინოებისათვის ორატორმა ასეთი მაგალითი მოიყვანა: კლაიპედაში არის 6300 კომუნისტი, რომლებიც სკკპ პლატფორმას ადგანან, რეორგანიზებულ კომპარტიაში—სამი ათასი. მიუხედავად ამისა, პარტიული ხელისუფლების ყველა პრეროგატივა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ატრიბუტი დღეს რეორგანიზებულ პარტიას, მის აპარატს ეკუთვნის. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი არჩეული საქალაქო კომიტეტის მდივანი არც კი შეუშვეს პირველი მდივნის კაბინეტში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა იყოს კანონი, რომელიც მოაწესრიგებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამართლებრივ სტატუსს და მის ქონებრივ უფლებებს, განაცხადა ორატორმა.

მან მხარი დაუჭირა წინადადებას მიღებულ იქნეს კანონი პარტიების შესახებ, რომელშიც უნდა ვცნოთ რეალია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, და მოვიფიქროთ მისი სამართლებრივი დაცულობა, თორემ, მართალი გითხრათ, ჩვენ ნამდვილად წავაწყდებით პარტიის ცხოველქმედების უზრუნველყოფის ყველაზე სერიოზულ პრობლემებს, დაასკვნა ორატორმა.

მე ვფიქრობ, თქვა **ი. ტ. ფროლოვმა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის მეექვსე და მეშვიდე მუხლების, უმთავრესად მეექვსე მუხლის საკითხს, რომელიც ახლა დაისვა ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით. ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ ვიღაც-ვიღაცეებს აპყევითო. თქვენ გაიძულებენო ამ გადაწყვეტილების მიღებას, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. კონსტიტუციის მეექვსე მუხლის ახლებური ფორმულირების იდეა დიდი ხანია მომწიფდა თვით ცენტრალურ კომიტეტში, მის პოლიტბიუროში, და საქმე ეხებოდა მხოლოდ იმას, თუ როგორ, რა ფორმით, რა სტადიაში შეგვეტანა ასეთი ცვლილებები. ორატორმა გაიხსენა, რომ ამის წინ ყველა დამსწრე ერთად იცავდა ასეთ პოზიციას: ცვლილებათა შეტანა მიზანშეწონილია განხორციელდეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან ერთად. არის თუ არა ეს გარკვეული პოზიცია? დიახ, არის. ეს მოწმობს ცენტრალური კომიტეტის გარკვეულ პასუხისმგებლობასაც, პოლიტბიუროს, ყველა იმათგანის პასუხისმგებლობასაც, ვინც ასეთ პოზიციას ადგა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ეს აქტი მიგვაჩნია ჩვენი პოლიტიკური სისტემის შეცვლის კანონზომიერ შედეგად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ყველას შესთავაზა იფიქრონ სწორედ ამაზე, და მოეშვან იმის რკვევას, თუ პირველმა ვინ რა თქვა.

ჩვენ ახლა გვეუბნებიან, პარტია ჩამორჩაო საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნებს, რომ ვიღაცამ ერთპიროვნულად დაიწყო და უძღვებოო გარდაქმნას და ა. შ. რატომ არ უნდა ჰქონდეთ ცენტრალური კომიტეტის წევრებს იმის ნათელი და მკაფიო, ზუსტი გაგება, რომ ეს შეუძლებელიც იქნებოდა, ასეთი ფორმით დაგვეწყო ცვლილებები, დაგვეწყო გარდაქმნა? ჩვენში მაშინ სრულიად უცვლელი იყო პოლიტიკური სისტემა. ჩვენ არ გვყავდა ახალი დეპუტატთა კორპუსი, არ გვყავდა ახალი უზენაესი საბჭო. ჩვენ ეს-კი არის შეეფდებიან პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპს. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო არ ჩქარობდნენ, რამდენადაც შეიძლება წარმოვდგინოთ, ამ წინადადებათა შემოტანას. ახლა კი შეიქმნა საამისოდ საჭირო პირობები, და ინრატომ. დიახ, ნამდვილად კანონზომიერად, და არა დაგვიანებით შეგვაქვს ჩვენ ამჟამად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ეს წინადადებანი.

არა მგონია, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავუწყვიტეთ დაშინებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებით. ეს უსაფუძვლოდ მიმაჩნია, რადგან ყოველივე, რაც ჩვენში დაიწყო, დაიწყო სწორედ ჩვენში. ჩვენ ვადგავართ ჩვენს საკუთარ, ჩვენთვის დამახასიათებელ გზას. ჩვენ ვითვალისწინებთ იმასაც, რაც ხდება, ევროპაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგრამ არ შეიძლება მიიჩნიოთ ეს რაღაც ფაქტორად, რომელიც ჩვენ გვიბიძგებს.

ი. ტ. ფროლოვმა კრიტიკულად შეაფასა ამხ. მიშინისა და ამხ. ბროიკოვის გამოსვლები პლენუმზე. აქ თქვეს, რომ სწორედ გარდაქმნის წლებში კნინდებოდა და კნინდებაო პარტიის ავტორიტეტი. ეს სიცრუეა. და თუ თქვენ ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგებით, უთუოდ გეტყვიან: პარტიის ავტორიტეტს წყალი შეუდგა, როგორც ჩვენ ვამბობთ, სწორედ უძრაობის წლებში, როდესაც პარტია იხრწნებოდა და ირყვნებოდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აი, სად არის პარტიის ავტორიტეტის დაკნინების თავიდათავი! და თუ ახლა პარტიას ბრალდებებს წაუყენებენ, ამასთან იხსენებენ სტალინიზმის რეპრესიებსა და დანაშაულობებს, კორუფციას, მექრთამეობას, მორალურ გახრწნას, რომლებიც წინა წლებში იყო, განა შეიძლება ყოველივე ეს შეუდარო იმას, რაც გარდაქმნის წლებში მოხდა? განა შეიძლება თუნდაც ერთმანეთთან ახლოს დააყენონ ისინი? არა, და სწორედ ეს არის საქმე. ასე აყენებენ საკითხს სწორედ ადამიანები, რომლებიც „იქიდან“, გარდაქმნამდელი ხანიდან მოვიდნენ, და ამას იმიტომ შვრებიან, რომ თავი გაიმართლონ.

შეეხო რა პარტიის ფუნქციებს ახალ პირობებში, ორატორმა თქვა: თუ ჩვენ ახლა უარს ვამბობთ ფორმულირებებზე, რომლებიც კონსტიტუციის მეექვსე მუხლშია მოცემული, მაშინვე იბადება კითხვა: რა არის მაინც პარტია? აი, რა საკითხი უნდა განვიხილოთ ჩვენ დღეს.

რა არის პარტია ახალ პირობებში? თუ გვინდა, ამ კითხვას ვუპასუხოთ, გარდაუვალად მივალთ იქამდე, რომ პარტია — ეს არის, უმთავრესად, იდეურ-პოლიტიკური ძალა. არა მმართველობითი რგოლი ეკონომიკის სისტემაში ან სადმე სხვაგან, არამედ სწორედ რომ იდეურ-პოლიტიკური ძალა. სწორედ ასე უნდა უყურებდეს საკუთარ თავს ყოველი კომუნისტი, და არ უნდა მისტირიდეს ძველ დროებას, არ უნდა იგონებდეს სინანულით პარტიის რაღაც ხელმძღვანელ როლს. პარტიის როლი, მათ შორის ავანგარდული, უდავოდ კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია სხვა ადამიანები, სხვა კადრები, არა ისინი, ვინც წარსულიდან მოვიდნენ.

ორატორმა დამსწრეთ მოუწოდა საფუძვლად მიიღონ სსრ კავშირის კონსტიტუციის მეექვსე და მეშვიდე მუხლების შეცვლის შემოთავაზებული ფორმულირება, მისი აზრით, არ ღირს შეიტანონ პროფკავშირული, მით უმეტეს, კოოპერატიული ორგანიზაციები, უბრალოდ უნდა ითქვას: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მასობრივი ორგანიზაციები“.

საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. მირონენკომ** თქვა, რომ ახლა ზაზგაზრდობასთან საუბრები ცხადყოფს: პარტიის ავტორიტეტს ვნებს ის, რომ ჩვენ ბის სამართლებრივ გარანტიებს ვიბღაუჭებით. ახალგაზრდების უმრავლესობა არ იზიარებს იმ საკითხის გადაწყვეტის გადადებას, რომ სახელმწიფოს ძირითად კანონში არ იყოს იურიდიულად დამკვიდრებული პარტიის პოლიტიკური ავანგარდობის უფლება. თუმცა ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი მზად არის მხარი დაუჭიროს პარტიის პოლიტიკას.

დღეს, როდესაც ეს საკითხი პრაქტიკულად დადგა ჩვენს წინაშე, მე მთლიანად ვუჭერ მხარს იმას, რომ შევიტანოთ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე განსახილველად, სახელდობრ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, — წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს მეექვსე და მეშვიდე მუხლების რედაქცია. პარტიას მხოლოდ მაშინ შეუძლია მართოს, როდესაც სწორად გამოხატავს იმას, რასაც ხალხი იცნობიერებს.

არა მგონია, დღეს აქ მყოფთაგან ვინმეს შეეძლოს იმის თქმა, რომ ხალხმა ვერ გაიცნობიერა, თუ რაოდენ საჭიროა შეიცვალოს იურიდიული გარანტიები პარტიის ნამდვილი ბრძოლით თავისი ავანგარდული პოლიტიკური როლისათვის ყველა იმ პრობლემის გადაჭრაში, რომლებზეც დღეს გვქონდა ლაპარაკი, თქვა ორატორმა. მე კარგად მესმის, რომ დღეს იმ ტრიბუნიდან ნამდვილად გაისმა ძალზე ბევრი მწარე ეეშმარიტება. და, რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენგანს, მათ შორის მეც, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებსაც და პოლიტბიუროს წევრებსაც მოგვიწევს პასუხი ვაგოთ, და ვაგოთ უწინარესად სკკპ XXVIII ყრილობაზე იმისათვის, რაც ვერ შევძელით გაგვეკეთებინა, ვთქვათ ის, რაც გავაკეთეთ. მაგრამ, თუ ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, რომ ხელისუფლება საბჭოებს უნდა ეკუთვნოდეთ, მაშინ ვიყოთ თანამიმდევრულნი. პირადად მე ყოველთვის მიმაჩნდა კომუნისტის გამორჩეულ ნიშნად ის, რომ კომუნისტებს არასდროს არ ჰქონიათ თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლების გამარადისების პრეტენზია, ისინი თავიდანვე აცხადებდნენ, რომ ამ ძალაუფლებას იღებენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ხალხს გადასცენ. ხოლო შემდეგ დაიცვან იგი პოლიტიკური ინტრიგანების, ავანტიურისტებისაგან. მაგრამ დაცვა შეგვეძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება გადაეცემათ სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, ხოლო პარტია ადგილს დაიკავებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მწყობრში, ბუნებრივია, როგორც მძლავრი, ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დაიცვას სახალხო ხელისუფლება ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ეე იმის მომხრე ვარ, რომ მეექვსე და მეშვიდე მუხლები თანამიმდევრულად გამოხატავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სურვილს უარი თქვას კონსტიტუციაში პარტიის ავანგარდული როლის იურიდიულ დამკვიდრებაზე, განაცხადა მან.

ბელორუსიის კომპარტიის გროდნოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანის **ვ. ბ. ხერმოროვის** აზრით, პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების შეზრდა მიმდინარეობს მხოლოდ პარტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ეკონომიკის მართვის გარდაქმნის დასახულმა კარდინალურმა ღონისძიებებმა, მთავრობის მიერ წამოყენებულმა პროგრამებმა, ერთი აზრით, უნდა გამოგვასწორებინონ მდგომარეობა. ჯერჯერობით კი სამეურნეო რეფორმას ბევრი არაფერი მოუცია მუშაკაცისათვის. თუმცა, მწრმოელ ადამიანს არც უჩერდება ვისმე მიცემული რამ. საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი სტრუქტურების მოვალეობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ხელშეწყობი პირობები შეუქმნან ადამიანის შესაძლებლობათა რეალიზაციას და ამ საფუძველზე მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მე, როგორც მუშას, უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია დავიცვა იმ ადამიანთა ინტერესები, ვინც საერთო საქმეს ახმარს თავის შრომასა და ცოდნას.

როდესაც განახლებული სოციალიზმის აშენების ამოცანას ვაყენებთ, თქვა დასასრულ ორატორმა, ჩემი აზრით, არ უნდა ვამბობდეთ ეარს კომუნისტურ იდეალებზე. სოციალური სამართლიანობის შესახებ წარმოდგენების უმაღლესი საფეხური — კომუნისტური იდეალი საკაცობრიო კუთვნილებად იქცა. და როდესაც საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტს კაცხადებთ, ჩვენ ნაბიჯს ვდგამთ ამ ჩვენი იდეალების განხორციელების გზით. ასეთ პოზიციას ვადგავარ როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან დასახელებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატი.

ფარული კენჭისყრის შედეგად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატად აირჩიეს **ნ. ა. კუხტარევი.**

• • •

14 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტზე კომუნისტური პარტიისაგან კანდიდატის დასახელების საკითხი.

ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი გამოვიდა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ა. მასოლი.** მან წინადადება წამოაყენა დაასახელონ პრეზიდენტობის კანდიდატად მ. ს. გორბაჩოვი, და მოუწოდა პლენუმს მხარი დაუჭიროს ამ კანდიდატურას.

ორატორი შეეხო ძირითადად ეკონომიკას, რადგან თუ ჩვენ დღეს ვერ გადავწყვეტთ მთავარ ამოცანას — ჩვენი ეროვნული შემოსავლისა და მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდას, მაშინ, რა თქმა უნდა, ვერავითარი პოლიტიკური რეფორმა ვერ გაჭრის.

მან უსურვა მომავალ პრეზიდენტს, რომ ეკონომიკის საკითხებში მკაცრ პოზიციას დაადგეს, ყურად იღოს რესპუბლიკების აზრი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ჯ. ჯუმბარიძემ** თქვა: მ. ს. გორბაჩოვს მთელი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი რაცხს ადამიანად, რომელიც როგორც პარტიის, ისე მთელი საზოგადოების განახლების პროცესების ინიციატორი და ხელმძღვანელია. ჩვენ მოგვაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას, ხაზი გაუსვა ორატორმა. მან მხარი დაუჭირა პლენუმზე გამოთქმულ სურვილებს: კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად ხორციელდებოდეს მუშაობა კავშირში ურთიერთობის ჰარმონიზაციის, მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის განმტკიცების, მისთვის რეალური შინაარსის მინიჭების უზრუნველსაყოფად.

სკკპ ჩიტის სოლოქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. ი. მალკოვმა,** აღნიშნა, რომ იმიერბაიკალის კომუნისტები და მშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა — ეს ადგილობრივი საბჭოების, რესპუბლიკური ხელისუფლების ორგანოების არჩევნების კამპანიამაც ცხადყო, ერთსულოვნად მიიჩნევენ ქვეყნის პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატურად მ. ს. გორბაჩოვს. ამავე დროს ორატორმა დასვა კითხვა: მტკიცედ დგას სკკპ ლიდერი სახვალიო პოზიციებზე, როდესაც ერთმანეთს უნდა შეუთავსოს პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის თანამდებობანი? მიმაჩნია, განაცხადა ►საოლქო კომიტეტის მდივანმა, რომ არამცდა-არამც არ უნდა დავუშვათ ჩვენი თვალსაზრისის, ჩვენი აზრის შესუსტება და ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა: პარტიის ლიდერად უნდა დარჩეს სახელმწიფოს ხელმძღვანელი. თუ ასე არ მოხდა, პარტიას როგორც მმართველ ძალას წყალი შეუდგება.

ჩვენ გავდივართ გარდაქმნის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და საბჭოთა კავშირის ახლებური ფედერალური ფორმირების უაღრესად პასუხსაგებ, გადამწყვეტ ეტაპს, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში **ი. ვ. დუბინინმა.** სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის შემოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად მთავრდება ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოს ფორმირება. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა საბჭოთა ადამიანის, ჩვენი პარტიისათვის. ხოლო რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, იქმნება კონსტიტუციური საფუძველი ახლებური აზროვნების პოლიტიკის სრულმასშტაბოვანი, მტკიცე განხორციელებისათვის. ამის მეოხებით გვესახება უპრეცედენტო შესაძლებლობა — ვაშენოთ მსოფლიო თანამშრომლობისა და საკაცობრიო ღირებულებების, ჭეშმარიტი მშვიდობის ბაზაზე, ხალხები მოელიან ამას.

ეს მიზნები დემოკრატიული სოციალიზმის იდეის სათავეებიდან მომდინარეობს. და მთავარი ის არის, რომ გარდაქმნის პოლიტიკამ რაც შეიძლება მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები მოუტანოს ჩვენი ქვეყნის ხალხებს ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ ისეთი ავტორიტეტული და მასშტაბური პოლიტიკური მოღვაწის კანდიდატურა როგორიც არის მ. ს. გორბაჩოვი ყველაზე უკეთ შეესაბამება ამ მიზნით საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტის ეფექტიანი გამოყენების ამოცანას.

სიტყვა ეძლევა **პ. კ. ლუჩინსკის,** მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. მან, კერძოდ, თქვა: მესამე კარის გამო კენჭისყრის შემდეგ ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვულოცავდით. მე ვფიქრობ, რომ ეს ნამდვილად დიდი გამარჯვებაა. ჩვენი დეპუტაცია ხმას მისცემს მ. ს. გორბაჩოვს.

ლატვიის კომპარტიის წარმომადგენელთა სახელით გამოსულმა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ი. ვაგრისმა** მხარი დაუჭირა პრეზიდენტის პოსტზე მ. ს. გორბაჩოვის დასახელებას. მან უსურვა მიხეილ სერგის ძეს არ გადადოს კავშირის ახალი მოდელის შესახებ მისაღები კანონის მომზადება. დრო არ ითმენს, საკითხი დაუყოვნებლივ უნდა განვიხილოთ და რაც შეიძლება მალე შევიმუშაოთ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი, თქვა მან.

სიტყვა ეძლევა **ნ. ი. რიჟკოვს** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. მთავრობის მეთაურმა პლენუმს აცნობა პოლიტბიუროს ერთსულოვანი თვალსაზრისი: ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე რეკომენდაცია მისცენ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს და იღვაწონ მის ასარჩევად. მხოლოდ მას შეუძლია დღეს გაუძღვეს ჩვენს ქვეყანას, ხაზი გაუსვა ნ. ი. რიჟკოვმა.

კარგი იქნება, განაგრძო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომ აქ მყოფთაგან არავის არ დარჩეს რაღაც ხინჯი „ერთმანეთის ჭათინაურებით შემკობისაგან“, როგორც ამხანაგებმა თქვეს ყირიმლების მუშაობის დროს. მე და მიხეილ სერგის ძე მეგობრები და თანამოაზრენი ვართ. ჩვენ უკვე მრავალი წელია მხარდამხარ ვიღვწით. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ სულ მუდამ ერთმანეთს თვალში შევცქერიოდით. პრინციპულ საკითხებს ჩვენ პრინციპულად განვიხილავთ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სტრატეგიულ საკითხებში ჩვენ თანამოაზრენი ვართ, და ის, რაც დღეს მოხდა, ეტყობა, ჩემი ბრალია. უბრალოდ, გამოსულმა ამხანაგმა ისე ამიშალა ძარღვები, რომ, ალბათ, ჩემი გამოსვლა მეტისმეტად ემოციური იყო. რაღაც, ძალიან გაეჭვია ეს ამხანაგი ტრიბუნაზე ტრიალს...

მე ვლაპარაკობ ჩემი გამოსვლის დასაწყისზე, რომელმაც გარკვეული ხიხჯი დაუტოვა ცენტრალური კომიტეტის წევრებსაც და სხვა ამხანაგებსაც. ისე კი, თუ გნებავთ, ახლავე მოვაწერ ხელს იმას, რაც ვთქვი. მინდა, ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ჩემი პოზიცია მტკიცეა, მე გორბაჩოვთან ერთად ვარ.

(საკდესი).

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი ფართო განხილვას იწვევს პარტიაში. კომუნისტები ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან სამართლიანად მიაჩნიათ, რომ უწინარესად დელეგატთა შემადგენლობაზე იქნება დამოკიდებული ყრილობის შედეგები. ისინი ფართოდ უჭერენ მხარს იმას, რომ სკკპ ყრილობის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობების, სამხარეო, საოლქო პარტიული კონფერენციების დელეგატთა არჩევნები ალტერნატიული იყოს, ყოველ კომუნისტს აძლევდეს შესაძლებლობათა რეალიზაციას და ამ საფუძველზე მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მე, როგორც მუშას, უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია დავიცვა იმ ადამიანთა ინტერესები, ვინც საერთო საქმეს ახმარს თავის შრომასა და ცოდნას.

როდესაც განახლებული სოციალიზმის აშენების ამოცანას ვაყენებთ, თქვა დასასრულ ორატორმა, ჩემი აზრით, არ უნდა ვამბობდეთ ეარს კომუნისტურ იდეალებზე. სოციალური სამართლიანობის შესახებ წარმოდგენების უმაღლესი ამასთან შესაძლებელია დელეგატთა პირდაპირი არჩევნები პარტიული ერთმანდატიანი და მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ამ შემთხვევაში პლენუმი ირჩევს კომისიას სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების მოსაწყობად. პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების წინადადებით, პარტიული სტრუქტურისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დამტკიცებული წარმომადგენლობის ნორმების გათვალისწინებით კომისია ქმნის პარტიულ საარჩევნო ოლქებს. ოლქები შეიძლება მოიცავდნენ რამდენიმე რაიონულ (საქალაქო) პარტიულ ორგანიზაციას. ოლქებში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისიები.

საოლქო საარჩევნო კომისია კონტროლს უწევს პირველადს პარტორგანიზაციებში არჩევნების მოწყობას, ქმნის საიმისო პირობებს, რომ კომუნისტები გაეცნონ ყრილობის დელეგატობის კანდიდატებს, ამტკიცებს ოლქში საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს, უზრუნველყოფს ბიულეტენების დამზადებასა და ამ ბიულეტენებით პირველადი პარტიული ორგანიზაციების მომარაგებას, ადგენს ოლქში არჩევნების შედეგებს.

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეიქმნა ოლქის პირველადს პარტორგანიზაციებში დასახელებული ყველა კანდიდატურა, ხოლო იქ, სადაც ოლქი რამდენიმე რაიონს (ქალაქს) მოიცავს, — კანდიდატურები, რომლებსაც მხარი დაუჭირეს რაიონულმა (საქალაქო) პარტკონფერენციებმა.

საარჩევნო ოლქის ფარგლებში ფარული კენჭისყრა ყრილობის დელეგატის არჩევნების დროს ეწყობა პირველადს (პირველადის უფლების მქონე საამქრო) პარტიულ ორგანიზაციებში. ამ მიზნით ისინი ირჩევენ ხმის დამთვლელ კომისიებს. კენჭისყრა ეწყობა რაიონული და საქალაქო პარტკონფერენციების დელეგატთა არჩევნების ანალოგიურად მოცემულ ორგანიზაციაში აღრიცხვიერ მყოფ კომუნისტთა სიების მიხედვით.

არჩევნები გამართულად ითვლება, თუ მათში მონაწილეობა მიიღო ოლქის სკკპ წევრთა ნახევარზე მეტმა, იმ ოლქებში, სადაც არც ერთ კანდიდატს არ დაუგროვებია არჩევნების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, ეწყობა ხელახალი კენჭისყრა ორ კანდიდატურას შორის, რომლებმაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს.

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების შედეგებს პარტიული კომიტეტის პლენუმის მიერ შექმნილი კომისია მოახსენებს საოლქო ან სამხარეო პარტიულ კონფერენციას ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობას. იმ შემთხვევაში, თუ ოლქში არჩევნები არ ჩაითვალა გამართულად, აგრეთვე მაშინ, როდესაც ვერც ერთმა კენჭისმყრელმა კანდიდატმა, მათ შორის, ხელახალი კენჭისყრის შემდეგ, ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, სკკპ ყრილობის დელეგატს თავისუფალი მანდატით ირჩევს უშუალოდ საოლქო ან სამხარეო პარტიული კონფერენცია ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა.

არჩევნები მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ამ შემთხვევაში პლენუმი განიხილავს ყველა კანდიდატურას, რომელსაც მხარი დაუჭირეს რაიონულმა და საქალაქო პარტკონფერენციებმა, და ამტკიცებს ოლქის, მხარის, რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის ერთიან სიას — სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატობის კანდიდატთა სიას. პლენუმი ქმნის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ კომისიებს სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების მოსაწყობად.

კანდიდატთა სია ქვეყნდება პრესაში, სადაც აღინიშნება ყოველი მათგანის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. ამ სიის საფუძველზე კომისია ამტკიცებს ფარული კენჭისყრის ბიულეტენებს, ამზადებს საჭირო რაოდენობის ბიულეტენებს და გზავნის მათ პარტიის რაიონულ ან საქალაქო კომიტეტებში, რომლებიც ორგანიზაციას უწევენ კენჭისყრას პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ამ მიზნით პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტები ქმნიან ხმის დამთვლელ კომისიებს. ხმის დამთვლელ კომისიებს ირჩევენ აგრეთვე პირველადს (საამქრო) პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიული კომიტეტის პლენუმის მიერ შექმნილი კომისია კენჭისყრის შედეგებს მოახსენებს საოლქო ან სამხარეო პარტიულ კონფერენციას ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობას. არჩევნები გამართულად ითვლება, თუ კენჭისყრაში მონაწილეობდა საოლქო (სამხარეო) პარტიული ორგანიზაციის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევებში, როდესაც არჩევნები არ გამართულა ან თავისუფალი მანდატები დარჩა, დელეგატთა არჩევნები ეწყობა უშუალოდ საოლქო ან სამხარეო პარტიულ კონფერენციაზე, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობაზე.

მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები შეიძლება შეიქმნას რაიონული (საქალაქო) პარტორგანიზაციების ჯგუფების მიხედვით. ამ შემთხვევაში ყოველ მათგანში იქმნება საოლქო საარჩევნო კომისიები.

პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ყრილობის დელეგატთა არჩევის უფლება შეიძლება მიენიჭოთ უშუალოდ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც კომუნისტთა რაოდენობა შეესაბამება ან აღემატება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილ წარმომადგენლობის ნორმას. ასეთ შემთხვევაში პარტორგანიზაცია შედგენს ერთმანდატიან ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქს. არჩეული დელეგატები შეჰყავთ საოლქო, სამხარეო პარტორგანიზაციების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიებისაგან არჩეულ დელეგატთა საერთო რიცხვში.

სკკპ მოქმედი წესდების შესაბამისად პარტიის ყრილობის დელეგატები შეიძლება არჩეულ იქნენ დახურული (ფარული) კენჭისყრით საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე. თუ მიიღება ასეთი წესი, მაშინ საარჩევნო პროცესი მაქსიმალურად დემოკრატიზებული უნდა გახდეს. ამ შემთხვევაში არჩევნები ალტერნატიულ საფუძველზე მოეწყობა იმ კანდიდატთაგან, რომლებსაც პირველადს პარტორგანიზაციებში დაასახელებენ და მხარს დაუჭერენ რაიონული (საქალაქო) პარტკონფერენციები.

კენჭისყრის შედეგებს განსაზღვრისას, ამჟამად მოქმედი სკკპ წესდებით გათვალისწინებული წესისაგან განსხვავებით, სკკპ XXVIII ყრილობის არჩეულ დელეგატებად უნდა ჩაითვალონ კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ყველაზე მეტი ხმა სხვა კანდიდატებთან შედარებით, მაგრამ კენჭისყრის მონაწილე სკკპ წევრების, კონფერენციის, ყრილობის დელეგატების ხმების ნახევარზე მეტი.

საჭირო ხდება შეიცვალოს საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიული ორგანიზაციებისაგან სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი. წინათ მათ ირჩევდნენ ტერიტორიული პარტორგანიზაციების დელეგატებთან ერთად. ამჯერად ნავარაუდევია ისინი აირჩიონ უშუალოდ სამხედრო ოლქების, ფლოტების, გაერთიანებების, შეიარაღებული ძალების სახეობების, შინაგანი ჯარების სამართველოებისა და სასაზღვრო ჯარების ოლქების პარტიულ კონფერენციებზე. რაც შეეხებათ კომუნისტებს, რომლებიც შედიან საზღვარგარეთ მყოფი საბჭოთა არმიის ნაწილების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის პარტიულ ორგანიზაციებში, ისინი კვლავინდებურად აირჩევენ ყრილობის დელეგატებს საჯარისო შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე. ამასთან სამხედრო მოსამსახურე კომუნისტები მონაწილეობას მიიღებენ ტერიტორიული კონფერენციების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობების მუშაობაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად. მათ შეუძლიათ აირჩიონ და არჩეულ იქნენ შესაბამის პარტიულ ორგანოებში, მაგრამ არ მიიღებენ მონაწილეობას სკკპ ყრილობის დელეგატთა არჩევნებში ტერიტორიული პარტორგანიზაციებისაგან.

მიზანშეწონილია, მიენიჭოთ ყრილობის დელეგატთა არჩევის შესაძლებლობა საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც შეიძლება ქ. მოსკოვში მოეწყოს.

კომისიის აზრით, სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევის შემოთავაზებული წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატთა არჩევნების დროს.

უნდა დადგინდეს აგრეთვე, რომ საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა ცენტრალური ორგანოების შემადგენლობაში დასახელებულ კანდიდატურებთან დაკავშირებულ წინადადებებს, რომლებსაც შეიმუშავებენ პარტიული ორგანიზაციების აზრის შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული მშენებლობისა და საკადრო პოლიტიკის საკითხთა კომისია.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო ჰერიოდისა და მკვლელობის გარემოებათა შემსწავლელი კომისიისაგან

კომისიას საჭიროდ მიაჩნია ამცნოს ქართველ საზოგადოებრიობას შემდეგი:

მიუხედავად სათანადო უწყებათა წარმომადგენლების განცხადებებისა სსრ კავშირის ყველა სიძველეთსაცავის საერთო-სახალხო სარგებლობისათვის გახსნის შესახებ, კომისიის მუშაობისათვის საჭირო ზოგიერთი საარქივო ფონდი ჯერაც ხელმიუწვდომელი რჩება. ეს შეფერხება აბრკოლებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო პერიოდისა და მკვლელობის გარემოებათა საჭირო სისრულით და დამაჯერებლობით ნათელყოფას, კომისიის მიერ საბოლოო მსჯავრის გამოტანას.

გვინდა შევახსენოთ საზოგადოებრიობას, რომ კომისიას ვალად აძევს არა მარტო მკვლელობის პოლიტიკური შეფასება (რაც გაცილებით ადვილია და რის შესახებაც კომისიის წევრთა უმრავლესობას გარკვეული თვალსაზრისი შემუშავებული აქვს), არამედ მკვლელობის ორგანიზებისა და ჩატარების გარკვევაც, ტერორისტული აქტის წამქეზებლებისა და შემწეების კრიმინალისტური დასაბუთებით გამოვლენაც, რაც, დიდი დროის გავლისა და მკვლელობის საოცარი „ოსტატობით“ დასაიდუმლოებისა გამო, უაღრესად ჭირს.

უნდა ისიც დავსძინოთ, რომ კომისიას, რომლის ამოცანაც ზოგიერთის მეტად მარტივად და გაუბრალოებულად ესმის, თავის ვალად მიაჩნია არა მარტო ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებულ გარემოებათა ნათელყოფა, არამედ დიდი მწერლის ცხოვრების, მოღვაწეობის და შემოქმედებითი საქმიანობის ბოლო, უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდის ღრმად გაანალიზება. კერძოდ, იმხანად საქართველოში არსებული მრავალი პარტიისა და ორგანიზაციის ილიასადმი და პირუკუ, ილიას მთდამი დამოკიდებულების გამოკვლევა, ილიას იმჟამინდელი იდეურ-პოლიტიკური და მხატვრულ-ესთეტიკური პოზიციის, რაც შეიძლება, ზუსტად დადგენა, მისი მსოფლმხედველობრივი კრედოს ევოლუციის დაზუსტება. ეს კი, ჯერჯერობით, საჭირო სიღრმესინრულით არ გაკეთებულა, უამისოდ კი ილია ჭავჭავაძის ფარული ან პოტენციური მტრების თუ წამქეზებლების გამომაკარავება, მათი ბოროტი ზრახვების აღმძვრელი მიზეზების ჩვენება ვერ მოხერხდება.

ის ორი წელი, რაც კომისია თავის საქმიანობას შეუდგა, საკმარისი არ აღმოჩნდა ილიას წინააღმდეგ მიმართული მთელი საიდუმლო ხრიკებისა და მკვლელობის ფარული მექანიზმის გასახსნელად. მით უმეტეს, რომ ბოლო ხანს კომისიისათვის მისაწვდომი გახდა ზოგიერთი აქამდე უცნობი მასალა, რომლის გაუთვალისწინებლობა აღარ შეიძლება.

ამჟამად, კომისიის საქმიანობა მთავრდება. დასკვნის პროექტის შესადგენად გამოიყო ჯგუფი — თ. შავგულიძის (თავმჯდომარე), ლ. თოიძის, მ. ლორთქიფანიძის, აკ. სურგულაძის, ს. ციშვილის, შ. ბადრიძის, ო. ლეკიშვილის შემადგენლობით.

კომისია ამცნობს ქართველ საზოგადოებრიობას, რომ მისი საბოლოო დასკვნა გამოქვეყნდება არა უგვიანეს ორნახევარსამი თვისა. ამავე დროისაფვის კომისია ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომს გახდის თავის ოქმებს და არქივს, რომელიც ამ საქმის ძიების პროცესში შეიქმნა.

გიორგი ციციშვილი,
კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

პარტიის საგარეჯოს რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა მ. ა. მეზვრიშვილი გათავისუფლა პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ფარული კენჭისყრით საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნად არჩეულია მ. შ. მათიაშვილი, რომელიც პარტიის ამავე რაიკომის მერრე მდივნად მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ჭითანავა. (საქინფორმი).

პარტიის საჩხერის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ე. დ. ბერიძე გაათავისუფლა პარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს ხუთი კანდიდატურა პარტიის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე.

ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია შ. შ. ნეფარიძე, რომელიც საჩხერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. გურგენიძე. (საქინფორმი).

ეკონომიკური ლიტერატურა

საკდესი იუწყება 19 მარტი

გამოხმაურება

ლიტვის პრეზიდენტი

ჰელსინკი. ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ხ. ხოლკერიმ ფინეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ლიტვის დამოუკიდებლობას ცნობს მხოლოდ მას შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირის პარლამენტი ცნობს ამ რესპუბლიკის გადაწყვეტილებას გამოყოფის თაობაზე. „ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი დადგება მას შემდეგ, როცა ლიტვა ასეთი თხოვნით მიმართავს ფინეთს, ოღონდ წინასწარ იქნება შეთანხმებული საბჭოთა კავშირთან“, თქვა პრემიერ-მინისტრმა.

ლიტვამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წელს და ფინეთმა ეს გადაწყვეტილება ცნო იურიდიულად. ლიტვის შეერთება საბჭოთა კავშირთან ჩვენმა ქვეყანამ ცნო როგორც „დე-ფაქტო“, მაგრამ არა იურიდიულად, აღნიშნა ხ. ხოლკერიმ.

ბერნი. შვეიცარია არ ჩქარობს ლიტვის დამოუკიდებლობის ცნობას, ვინაიდან უნდა დაელოდოს მოსკოვსა და ვილნიუსს შორის მოლაპარაკების შედეგებს, მხოლოდ ამის შემდეგ. შეიძლება გადაწყვეტილების მიღება ლიტვის ცნობის თაობაზე, განაცხადა შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ინფორმაციისა და პრესის განყოფილების უფროსმა. 1918 წლიდან 1940 წლამდე, თქვა მან, შვეიცარიას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან, მათი ანექსია შვეიცარიას არ უცვნია 1946 წელს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემდეგაც.

ბონი. ლიტვამ მოიგო მხოლოდ პირველი შეტაკება, მაგრამ არა მთელი ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის, აღნიშნავს გაზეთი „რეინიშე პოსტი“. მის წინაშე დგას სსრ კავშირთან რესპუბლიკის მეურნეობის მთელი სისტემის ძალზე იმიდრო კავშირის პირობებში ეკონომიკური ცხოველუნარიანობის ცენტრალური საკითხი. პირველი რეაქცია საზღვარგარეთ ლიტვის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებაზე, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთობ თავშეკავებული იყო, და ამის ყველა საფუძველი არსებობს. სიმპათია, შესაძლოა, ვილნიუსის მიმართ იყოს, მაგრამ ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ სსრ კავშირის დაშლის საფრთხე შეასუსტებს გორბაჩოვის პოზიციებს, რაც არ შეესაბამება დასავლეთის ინტერესებს. მაგრამ შესაძლებელია ისეთი ვარიანტიც, როცა სსრ კავშირი ჩამოიშორებს ბალასტს, ნებას დართავს „განაპირა რესპუბლიკებს“ გავიდნენ კავშირის შემადგენლობიდან, მთელ ძალისხმევას მოახმარს ქვეყნის „რუსული ბირთვის“ განვითარებას და რთული სიტუაციიდან კიდევ უფრო ძლიერი გამოვა.

● ჩეხოსლოვაკია

კერძო მეწარმეობის საფუძველზე

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მოამზადა რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეურნეობრობის საბაზრო სისტემის დანერგვა, კერძო მეწარმეობის განვითარება. ამ პროგრამას პირველები გაეცნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები და შეტად მაღალი შეფასება მისცეს. ამავე დროს ფონდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ჩეხოსლოვაკია აპირებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობას, მაშინ სასურველია ეკონომიკური რეფორმის უფრო მტკიცე კონცეფცია.

აღნიშნული ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩეხოსლოვაკიამ მომზადა მთელი რიგი წინადადებანი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ზოგიერთი შეთანხმებიდან გასვლის თაობაზე. თუ რომელ შეთანხმებებზეა პირველ რიგში ლაპარაკი, ფედერალური მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან.

● ნიკარაგუა

სანდინისტთა ვოტიდოვნა

მანაგუა. სანდინისტურმა მთავრობამ მოითხოვა დაუყოვნებლივ მოხდეს კონტრასების ფორმირებათა დემობილიზაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა ნიკარაგუას ახალი მთავრობისათვის, რაც 25 აპრილს უნდა გაიმართოს. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა დენ კუეილმა განაცხადა, კონტრასების დემობილიზება არ მოხდება მანამ, სანამ ახალი მთავრობა არ დამტკიცებს, რომ „შესწევს უნარი დაამყაროს დემოკრატიაო“.

● ბრაზილია

არჩევნების შედეგები

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კვირას გამართული ხალხური პალატის არჩევნების დროს ამომრჩევლების მიერ ჩაშვებული ბიულეტენების დათვლის შედეგად მიღებული ოფიციალური მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი ხმა — 48,15 პროცენტი — მიიღეს კონსერვატიული „გერმანიისათვის კავშირის“ კანდიდატებმა, მასში შედიან ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, „გერმანიის სოციალური კავშირი“ და „დემოკრატიული წინგაბრა“, ამრიგად, ეს პარტიები, დღ

მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

(დასასრული)

მ. ს. გორბაჩოვმა უპასუხა საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების კითხვებს.

ახალი ამბების საააგენტო: როგორ გესახებათ თქვენი პირველი საპრეზიდენტო საერთაშორისო ინიციატივა?

პასუხი: ჩემს ახალ უფლებამოსილებას გამოვიყენებ იმისათვის, რომ მეტი დინამიკა მივანიჭო წინადადებებს, რომლებიც ჩვენ წამოვაყენეთ. საქმე ის კი არ არის, რომ კიდევ გავაოცოთ მსოფლიო რაღაც ახალი წინადადებით, არამედ ის, რომ ახალი დინამიკა მივანიჭოთ იმას, რაც უკვე განგვიცხადებია.

გაზეთი „პრავდა“: როგორ გგონიათ, რამდენი ხანი დასჭირდება პრეზიდენტის ხელისუფლების სისტემის ჩამოყალიბებას?

პასუხი: მართლაც, პრეზიდენტის ხელისუფლების შემოსაღებად საჭიროა არა უბრალოდ აირჩიო პრეზიდენტი, არამედ შექმნა მთელი სისტემა და იმოქმედო. არ დაკარგო დრო, რათა პრეზიდენტი თავიდანვე ჩაებას საქმიანობაში. სხვათა შორის, ყირიმობაზე მას უკვე მიეცა პირველი დავალებანი ლიტვაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამრიგად, მოფიქრებისათვის ბევრი დრო არ მექნება. უნდა ვიმოქმედოთ, შევქმნათ პრეზიდენტის მართვა-გამგეობის სისტემა.

გაზეთი „იზვესტია“: ჩვენ ყოველდღიურად ვიწყებთ პარლამენტში აზრთა ბრძოლას გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებით, ხშირად ისე გამოდის, რომ ისინი კარგავენ თავიანთ მამოძრავებელ ძალას, გადაწყვეტილებები ცუდად სრულდება. რამდენად შეუწყობს ხელს პრეზიდენტის ხელისუფლება ასეთი სიტუაციის აღმოფხვრას?

პასუხი: ვიმედოვნებ და დარწმუნებული ვარ, რომ განვავითართ რა პრეზიდენტობის ინსტიტუტის პოტენციალს, ჩვენ მივიღებთ შესრულების უფრო ეფექტიან ინსტიტუტს. ეს საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ხელისუფლების ამორფულობა, მისი ბუნდოვანება. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს დაგვიფარავს ყველა ბოროტებისაგან, ასე ფიქრი სერიოზული არ იქნებოდა, უზენაეს საბჭოს, რომელიც აქტიურად მუშაობს და კარგ ტემპს იღებს, სულ უფრო ემატება კომპეტენტურობა, შეეხმება საბჭოთა ხელისუფლების ახალ ორგანოებს, რომლებიც რესპუბლიკებში და ადგილებზე გამართული არჩევნების საფუძველზე ყალიბდება, შეეხმება მთავრობაში ძალთა გადანაწილებას, და ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტიანად წარვმართოთ საქმე. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა დავძლიოთ უპასუხისმგებლობა, რომელსაც წარმოშობდა კოლეგიურობის მომიზეზება, მოთხოვნები, რომ ყოველი საკითხი კოლეგიას გადაეწყვიტა. პასუხისმგებლობის გაძლიერება — აი, რა უნდა გაბდეს, ჩვენი ვარაუდით, პრეზიდენტობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტის შემოღების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგი.

პროგრამა „ვრემია“: ჩვენ ვიცით, რომ თქვენ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მეთაურს, ახლა მრავალი პრობლემა გაქვთ გადასაწყვეტი, მაგრამ მათ შორის ალბათ არის ერთი ან ორი ყველაზე გადაუდებელი პრობლემა. რა პრობლემებია ეს?

პასუხი: მე ვიტყოდი, რომ ეს მაინც არ არის ერთი პრობლემა. ჩვენ უფრო რადიკალური უნდა გავხადოთ ეკონომიკური რეფორმა. საჭიროა დაუყოვნებლივ მოკიდოთ ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და ფედერაციის განახლების საქმეს, მივიღოთ ყველაზე გადამწყვეტი ზომები, რათა განვამტკიცოთ ადამიანთა უსაფრთხოება, დავიცვათ მათი უფლება-თავისუფლებანი. საერთოდ კი ჩვენ უნდა დავიცვათ გარდაქმნა და დემოკრატია.

გაზეთი „გარდიანი“ (დიდი ბრიტანეთი): ბატონო პრეზიდენტო, ამხანაგო პრეზიდენტო! თქვენ ახლაც ბრძანდებით საკმაოდ გენერალური მდივანი, მაგრამ ბოლო დროს უარი თქვით მთელ რიგ პოზიციებზე, რომლებსაც წინათ ვხედავდით კომპარტიათა თეორიასა და პრაქტიკაში, — ისეთიები, როგორიც არის პროლეტარიატის დიქტატურა, ერთპარტიულობა და ა. შ. ხომ ვერ განგვმარტავდით, თქვენი პოლიტიკური ფილოსოფიის რა კონკრეტული ასპექტები განგასხვავებენ თქვენ სოციალ-დემოკრატებისაგან და თვლით თუ არა თავს უფრო მეტად სოციალ-დემოკრატად, ვიდრე კომუნისტად?

პასუხი: მე თავი მიმაჩნია არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრად, არამედ კომუნისტადაც. ეს როდი ამცირებს ჩემს პატივისცემას სხვა სოციალისტურ მიმდინარეობათა წარმომადგენლების, მათი ძიებისადმი. უფრო მეტიც, ითმს გაცნობიერება, რომ ჩვენ ერთი ცივილიზაცია ვართ, ვცხოვრობთ ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს ფარგლებში, და რომ ყოველი ხალხი, ახორციელებს რა თავის არჩევანს, ამასთანავე ცივილიზაციის მიღწევებსაც იყენებს, — გულისხმობს, რომ ჩვენც, გადავწყვეტეთ რა გარდაქმნის მეშვეობით ახლებური დინამიკა მივგვნიეზინა სოციალიზმისათვის, წარმოგვეჩინა მისი პოტენციალი, ამიერიდან ამასთანავე გამოვიყენოთ სხვათა გამოცდილებაც, ოღონდ, შეეფსატყვისებთ ჩვენს პირობებს. მთავარია, თავიდან ავიცილოთ ის, რამაც დიდი ვნება მოუტანა სოციალისტური იდეის რეალიზაციას, როდესაც ერთ მოდელს თავს აბეჭედნენ ან ცდილობ დ ნ ენ ბრძად დგმოეღოთ. ამასთან დაკავშირებით მოხდა ისეთი დეფორმაციები, რომლებიც ძვირად დაგვიჯდა და, რომლებმაც გარკვეულწილად ვნება მოუტანეს თვით სოციალისტურ იდეას.

მაგრამ ჩვენმა ხალხმა მას შემდეგაც კი, რაც გამოიარა ყოველივე ეს, გაუძლო მთელ განსაცდელს, მაინც შეინარჩუნა სოციალისტური იდეისადმი ერთგულება. და ეს სასიმოსო ბაზაა, რომ გავიაზროთ მთელი წარსული გამოცდილება, გამოვიყენოთ მსოფლიო ცივილიზაციის, მათ შორის მსოფლიოს სოციალისტურ მოძძოობათა მიღწევები, გავამდიდროთ ჩვენი სოციალისტური პოლიტიკა, რომელსაც გარდაქმნა ვუფრდეთ, და მივაღწიოთ იმის რეალიზაციას, რისი გულისთვისაც მოვახდინეთ არჩევანი 1917 წელს. ჩვენ ბრძად ვ ადგმიგიღმთ სხვის გამოცდილებას და არც არავის მოვახვევთ თავს ჩვენს გარდაქმნას. პირველი დღეებიდანვე, როდესაც ჩვენ ამ გზას დავადექით, მე ვიმეორებდი, რომ გარდაქმნა ჩვენ გვჭირდება, რომ იგი წვითა და დაგვით მოიპოვა ჩვენმა საზოგადოებამ, და არავის არ ვახვევთ თავს ჩვენს არჩევანს. თუკი ვინმეს ეინტერესებთ — შეისწავ ლ ეთ ჩვენი გამოცდილება, თუ იგი გამოგადგებათ — გამოიყენეთ. ასე ვიმოქმედებთ ჩვენ სხვა მოძრაობების მიმართაც.

საკავშირო რადიო, „მაიაკი“: როგორი იქნება თქვენი პირველი ნაბიჯები ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, რომელიც მეტი რომ არ ვთქვათ, ერთ ადგილს ტკეპნის?

პასუხი: პირველი ნაბიჯები მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ეკონომიკური რეფორმის რადიკალიზაციასთან არის დაკავშირებული. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პრობლემებზე, პასუხი შესაძლებ ლ ი ა არა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის დაბრუნებაა, არამედ ახალი მექანიზმების დაჩქარებული ჩართვის საფუძველზე. სწორედ ამ მიმართულებით დადგდგამთ პირველ ნაბიჯებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის გადაუდებელი მოქმედება ბაზრის მდგომარეობის ნორმალიზაციასთვის. რაც შეეხება პერსპექტივებს, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ახალი შესაძლებლობანი, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების, მიწის, იჯარის კანონებთან და ასე შემდეგ. ჩვენ უნდა ვიაროთ განსახელმწიფოებრიობის გზით, გავაფართოოთ ინიციატივის გამოჩენის, ძიების შესაძლებლობანი. თავისუფლებამ ეკონომიკაში ნაყოფი უნდა გამოიღოს.

გაზეთი „რაბოჩაია ტრიბუნა“: რამდენად აპირებთ დაეყრდნოთ მუშათა მოძრაობას და გაკმაყოფილებთ თუ არა ინფორმაცია, რომელიც მუშათა რეგიონებიდან მოგდით?

პასუხი: ალბათ, მიაქცევდით უურადღებას, როდესაც დღევანდელი სიტყვის დასასრულს საბჭოთა ხალხს მივმართე. ჩემი პირველი სიტყვა, მხარდაჭერის იმედით ნათქვამი, მუშათა კლასს ეკუთვნოდა. დარწმუნებული ვარ, ეს არის საზოგადოებრივი ძალა, რომელიც მტკიცედ ერთგულობს სოციალისტურ იდეას, გარდაქმნისათვის ბრძოლას. მუშათა კლასის აზრი, მისი პოზიცია განსაზღვრავს მთელი საქმის წარმატებას. სწორედ ამიტომ ვანიჭებ უდიდეს მნიშვნელობას მუშათა მოძრაობას, მის როლს გარდაქმნაში. რაც შეეხება ინფორმაციას, მას სხვადასხვა არხებიდან ვიღებ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც პირად კონტაქტებს ვაფასებ. მადლობელი ვარ თქვენი გაზეთისა. მე ვფიქრობ, „რაბოჩაია ტრიბუნა“ იყალიბებს იერსახეს და მას, ასე ვთქვათ, დაეტყო მუშური ხასიათი.

გაზეთი „პაიხი“ (ესპანეთი): ამ რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ, რომ აღარ არსებობს თავდაცვის საბჭო და მისი ფუნქციები პრეზიდენტის საბჭოს ხელში გადავიდა. რას ემყარება თავდაცვის საბჭოს დათხოვნის გადაწყვეტილება, რატომ იყავით მისი უკმაყოფილო? და კიდევ. თქვენი კომპეტენციის სფეროში შემოდის ბრძანებულებათა გამოცემის შესაძლებლობა. ხომ არა გაქვთ უკვე იმ საკითხთა სია, რომლებზეც აპირებთ ბრძანებულებათა გამოცემას, მაგალითად, უნდა მიიღოთ უფრო რადიკალური ეკონომიკური ღონისძიებები, ვიდრე ის, რომლებიც მთავრობის პროგრამაშია ჩამოთვლილი?

პასუხი: პირველ კითხვაზე მინდა შემდეგი განმარტება მოგცეთ. პრინციპული თვალსაზრისით საქმე დიდად არ იცვლება. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე სათავეში ედგა თავდაცვის საბჭოს. დღეს პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, უშიშროების, თავდაცვის საკითხები. ვფიქრობ, იმ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ თავდაცვის საბჭოს მუშაობასთან, განაგრძობს მონაწილეობას და კვლავ გაუწევს თავის დახმარებას პრეზიდენტს ამ საკითხთა გადაწყვეტაში. ასე რომ, აქ სრული მოხაცვლეობაა.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ჩვენ, უწინარესად, უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანი გავხდოთ მთავრობის მიერ შემოთავაზებული პროგრამის შესრულების მექანიზმი, მაგრამ ჩვენ მოგვიწევს დავაჩქაროთ ბევრი ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც მთავრობის პროგრამის მიხედვით უფრო გვიან დროისათვის იყო გადადებული.

უზბეკეთის ტელევიზია და რადიო: პატივცემულო ამხანაგო პრეზიდენტო, რამდენიმე დღის შემდეგ, 21 მარტს, საზღვარგარეთის ბევრ მაჰმადიანურ ქვეყანაში, აგრეთვე ჩვენს შუა აზიის რესპუბლიკებში ფართოდ აღინიშნება ნავრუზი — გაზაფხულის ახალი წლის პირველი დღის დღესასწაული. რა სიტყვებით მიმართავდა საბჭოთა და საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ხალხებს საბჭოთა კავშირის პირველი პრეზიდენტი თავის პირველ სამუშაო დღეს?

პასუხი: აღმოსავლეთის ხალხებისადმი ულრმესი პატივისცემის სიტყვებით. ვიცი რომ ამ რეგიონში, რომელიც მრავალ ქვეყანას მოიცავს, ასევე მრავალი პრობლემაა. ვფიქრობ, აღმოსავლეთის ხალხებს ახასიათებთ, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობისადმი მისწრაფება, იმიტომ, რომ ეს შფოთიანი რეგიონია, და, რა თქმა უნდა, — უკეთესი ცხოვრებისადმი მისწრაფება. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ხალხთა მოლოდინი, იმედები გამართლდება.

ეს ეხება ჩვენს ქვეყანასაც. ის, რაც ღღეს ხდება ჩვენში, სასიკეთო გავლენას მოახდენს შუა აზიის რესპუბლიკებში მიმდინარე გარდაქმნებზეც. ვფიქრობ, იქ მომწიფდა დიდი ცვლილებების საჭიროება.

გაზეთი „პრაზიკი“ (ქ. ვლადიმირი): ყრილობის დროს ორმა დეპუტატმა განაცხადა, რომ ბადის დეპუტატთა კორპუსიდან. როგორ გგონიათ, ხომ არ მოწმობს ეს ფაქტები რაღაც ტენდენციის წარმოშობას, როგორ ეკიდებით მათ?

პასუხი: ერთ მათგანს მე ვესაუბრე და, მე მგონი, ამ პროცესს ჯერ არ მიუღია, ასე ვთქვათ, შეუჭეკვადი ხასიათი. ეს განსაკუთრებით ეხება დეპუტატებს, რომლებიც უზენაეს საბჭოში შედიან. შეიცვალა სიტუაცია, შეიცვალა ამ ადამიანთა მდგომარეობა, მათ უკვე ახალ პირობებში იმუშავეს, ახლა ერთმანეთს ადარებენ ყოველივეს, თავად განსჯიან, მისაღებია ეს მათთვის თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ერთნი გრძნობენ, რომ ვერ აკეთებენ ყველაფერს იმასთან შედარებით, რასაც დაგვპირდნენ. ისე კი, ვფიქრობ, ეს ნორმალური პროცესია. ვერავითარ დრამას ვერ ვხედავ, და არა მგონია, დაიწყოს მასობრივი გასვლა დეპუტატთა კორპუსიდან.

ხაკელი: ვინ შეგცვლათ თქვენ შვებულების დროს:

პასუხი: პრეზიდენტი სადაც უნდა იყოს, მთა შორის, შვებულებაშიც, ხელმძღვანელობას იგი განახორციელებს. მომდინარე საქმეების ნაწილი, რა თქმა უნდა, დაეკისრებთ პრეზიდენტის საბჭოს წევრებს, მაგრამ არც ერთი პრინციპული საკითხი არ გადაწყდება უპრეზიდენტოდ.

ეს-ბი-სი ტელევიზია (სამხრეთი კორეა): პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, როგორ აფასებთ თქვენ საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ კორეას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პერსპექტივებს?

პასუხი: ვიფასებ კარგად.

გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“: ამ თავითვე აშკარაა, რომ უზენაესმა საბჭომ, როგორც ჩანს, ფიგალინა სსრ კავშირიდან რესპუბლიკების გასვლის კანონის შემუშავება. სიტუაცია რთულია, ისე ხომ არ გამოვა, რომ კანონს, რომელსაც ცოტა ხანში მიიღებთ, ექნება ერთგვარი დასჯის ხასიათი, და რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს თავიდან აცილებოთ?

პასუხი: ჯერ ერთი, ჩვენ ძალზე ბევრს ვლაპარაკობთ დაგვიანებაზე, გაუბედაობაზე, ორჭოფულ ზომებზე და ა. შ. მეტი სიფრთხილე გვმართებს, და ამას ვამბობ ჩვენი საბჭოთა პრესის გასაგონად. რაც შეეხება „საზღვარგარეთის პრესას — ეს მისი საქმეა, თქვენ კი, როგორც პრეზიდენტმა, შემიძლია გითხრათ ჩემი სურვილი. ღღეს, გამოსვლისას, მე ვთქვი, რომ ჩვენში ძალზე ბევრს მსჯელობენ, თითქოს დავაგვიანეთ საკუთრების, მიწის კანონების გამოცემა, ყოველივე, რაც რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმას ეხება. იცით, ეს ასეც არის და არც მოლად ასეა. რა თქმა უნდა, აჯობებდა უფრო ადრე მოგვეღო. მაგრამ როგორ გინდოდა გეკნა ეს უფრო ადრე, თუკი ჩვენ ღღესაც ვგრძნობთ, რომ გვაკლია ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენცია, რომ ახლა ვიძენთ ცხოვრების გამოცდილებას. ჩვენ მოვსინჯეთ ფარა, სამეურნეო ანგარიში, თვითმმართველობა, დემოკრატია დირექტორთა არჩევნებთან დაკავშირებით და ასე შემდეგ. ყოველივე ეს ახალი ფორმებია, და იმისათვის რომ ისინი კანონად აქცეო, შეიქმნა სამართლებრივი ბაზა, როგორც ჩვენში იტყვიან, ერთი ფუთი მარილი უნდა შეეჭამო, მაგრამ ამ ფუთი მარილის ჭამა არავის არ უნდა. დიდ პრაქტიკაში ასეთი შემობრუნების დროს — არადა, ჩვენ ახლა ისტორიული შემობრუნების გზაზე ვართ, საფუძველს ვუყრით წარამძღვრებს, რომლებიც შეცვლიან ჩვენი საზოგადოების ხასიათს — აჩქარება ნამდვილად არაა გვარგებს. ახალგაზრდობას, „მოსკოვსკა კომსომოლეცს“ მე შემიძლია ვაპატიო, როდესაც ისინი უფროსებს უბიძგებენ — ეს კარგია. ხოლო რაც შეეხებათ სხვებს, მათი რომ ვიყო, მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდი ასეთი ტერმინების ხმარებაში.

თუმცა პრესას უამისოდ უჭირს, იგი შეიძლება არც წაიკითხონ. ხომ საჭიროა თვალში საცემი სათაურები — რა მნიშვნელობა აქვს, რა არის იქ, ტექსტში, მთავარია სათაური იყოს. მაგრამ ყველა ძალზე საფუძვლიანად უნდა დაუფიქრდეს, როგორ გაუშვა ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. იმიტომ რომ ჩვენ ვაკეთებთ უდიდეს, ისტორიულ, გლობალურ საქმეს, იმას, რაც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნისა და სოციალისტური იდეის ბედს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის რეალურ წონას, გავლენას მოახდენს ვითარებაზე მთელ მსოფლიოში. ამიტომ ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცენიც და შეუპოვარნიც, მაგრამ მეტი სიფრთხილე და სიდარბაისლე გვმართებს. ჩვენს ზურგს უკან ხომ 300 მილიონი დგას მარტო ჩვენს ქვეყანაში.

გაზეთი „პოლიტიკა“ (იუგოსლავია): თქვენი ახლებური აზროვნების პოლიტიკა უკვე ხუთი წელია აყენებს ფართო მასშტაბის პოზიტიურ ინიციატივებს მსოფლიო ცვლილებებისათვის. ღღეს თქვენ გამოთქვით რადიკალური იდეა, რომ ბლოკური სისტემები უნდა შეიცვალოს ერთობლივი უშიშროების ორგანიზაციით. რა კონკრეტული ნაბიჯების იმედით აპირებთ უზრუნველყოთ ასეთი რადიკალური იდეის წარმატება?

პასუხი: ცხოვრება უბიძგებს ჩვენს აზრსაც, ჩვენს ძიებასაც და ჩვენს პოლიტიკასაც. კერძოდ, გერმანიის გაერთიანების საკითხი გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, რომ ამ აქტის შედეგად, რომლისკენაც, ბუნებრივია, გერმანელები მიისწრაფვიან, არ მოგვივიდეს გამრუდება, არ დაირღვეს ძალების ბალანსი. ამიტომ ჩვენ ახლა მარტო ამაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ უნდა გადავიტანოთ კიდეც ჩვენი მოქმედება პრაქტიკულ სიბრტყეში. და უწინარეს ყოვლისა, ვიაროთ იმ გზით, რომ ახალი შინაარსი შემატოთ ამჟამად არსებულ ბლოკებს, შევქმნათ ახალი სტრუქტურები. ანუ შევცვალოთ ერთთა ბუნება და წავახალისოთ სხვათა შექმნა. ამის მეოხებით ჩამოყალიბდება სისტემა, რომლის ბაზაზე შეიძლება დამკვიდრდეს ევროპის უშიშროების ახალი შენობა. ვფიქრობ, რომ ვენის პროცესის, ჰელსინკის მეშვეობით, გაერთიანების, ეკონომიკური სავაჭრო-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დამყარების გზაზე ახალ ღონისიერებათა განხორციელების მეოხებით ჩვენ ვივლით ისეთი ევროპის შექმნის გზით, რომელსაც მტკიცე და საიმედო უშიშროება ექნება. შეიძლება, ეს სურათი ცოტა გაზვიადებული გეჩვენოთ, მაგრამ მე ისე მესახება, რომ ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ვივლით.

აზერბაიჯანის ტელევიზია: ხომ არ გამოცხადდება პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში პრეზიდენტის მმართველობა? და მეორე. გაქვთ თუ არა თქვენ უფლება დათხოვოთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები?

პასუხი: მთიანი ყარაბაღისა და საერთოდ აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილი სიტუაციის თაობაზე ბევრი ღია თუ დაფარული სხდომის, გულახდილი, თანაც პატივისმცემლური და პირდაპირი საუბრების შედეგად ჩვენ მივალწიეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ახალ ეტაპს სახავს. მე მგონი, უნდა ვიფიქროთ ამაზე, და არა სხვა რამეზე.

რაც შეეხება მეორე კითხვას. რამდენადაც ვიცი, უკვე გამოქვეყნდა შეტანილი ცვლილებები. იქ მკაცრად არის დათქმული პრეზიდენტის პერეოგატივები უზენაესი საბჭოს დათხოვნის თაობაზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პალატებს შორის წარმოიშობა სიტუაცია, რომელიც აღიარეევს ნორმალურ მუშაობას. მაშინ პრეზიდენტს შეუძლია დააყენოს საკითხი სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინაშე. მაგრამ თავად პრეზიდენტი ვერ დაითხოვს უზენაეს საბჭოს. რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების დათხოვნას, ვფიქრობ, ეს გამორიცხული უნდა იყოს. და საერთოდ პრეზიდენტმა დადგა ფაქტი, რომ განუხრელად შეასრულებს კონსტიტუციის, ხოლო კონსტიტუცია — მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება უნდა მივიღოთ, უნდა ითვალისწინებდეს საკავშირო და რესპუბლიკური კომპეტენციის ზუსტ გამიჯვნას. და ეს მტკიცედ უნდა დაიცვას ყველამ.

გაზეთი „მოსკოვსკია პრავდა“: თქვენმა სიუჟეტმა მოსკოვში ჩაიარა, აქ დაამთავრეთ იურიდიული ფაკულტეტი. მოსკოვი შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში, აქ აგიჩრიეს თქვენ პრეზიდენტად. მაგრამ მოსკოვს ბევრი პრობლემა აქვს, და ჩვენ ახლა მწვავედ ვგრძნობთ „სატახტო“ ქალაქის სტატუსის უკანონობას. რა აზრისა ხართ თქვენ მოსკოვის როგორც საბჭოთა კავშირის დედაქალაქის შესახებ კანონის მიღების საკიროებაზე, რა მნიშვნელობა ექნება ამას მოსკოვის მომავალი განვითარებისა და ქვეყნისათვის?

პასუხი: გმადლობთ, რომ სიტყვაკის წლები გამახსენეთ — ეს ყოველთვის გსიამოვნებს კაცს. მე თავს მოსკოველად ვგრძნობ, აქ ბევრი რამ მოხდა ჩემს პირად და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მე მოყვარს მოსკოვი, ვგულშემატკივრობ მოსკოველებსა და ამ ქალაქს. იგი არ არის უბრალო, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი მილიონი კაცი ცხოვრობს თვით მოსკოვში, მოსკოვის ოლქში, თან მილიონობით კაცი ჩამოდის დღეს — ეს ხომ უზარმაზარი, რთული სამყაროა. ამიტომ მიმაჩნია, რომ მოსკოვს სჭირდება ის, რომ ქვეყნის პრეზიდენტმაც გამოიჩინოს პირადი მზრუნველობა და ყურადღება მისი განვითარებისათვის. ახლა განვიხილავთ დედაქალაქის სტატუსის საკითხს, და განხილვის შემდეგ შემეძლება გაგცეთ პასუხი, რა იქნება ეს — კანონი თუ სხვა გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვს ესაჭიროება ის, რომ მოვიფიქროთ მისი დღეგანდელი დღე და მომავალი. ეს ძალზე აქტუალური ამოცანაა.

გაზეთი „იზვესტია“: როგორ წარმართავთ თქვენს ურთიერთობას უზენაეს საბჭოსთან და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან? ხშირად აპირებთ სხდომებზე დასწრებას?

პასუხი: აღმასრულებელი ხელისუფლებისა და უმაღლესი თანამდებობის პირის თანამშომქედება, როგორიც არის ქვეყნის პრეზიდენტი, უზენაეს, საკანონმდებლო ორგანოსთან ნორმალური და რეგულარული იქნება. და მაინც უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობ პრეზიდენტის საბჭოსა და ფედერაციის საბჭოს მუშაობას; ღღეს ავირჩიეთ უზენაესი საბჭოს ახალი თავმჯდომარე, და ვიმედოვნებ, რომ უზენაესი საბჭო პროგრესის გზით იელის, ჩვენ მოვალეთ მისგან დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

მოსკოვის რადიო, საუცხოო მაუწყებლობა და „ინტერფაქსის“ სამსახური: რა თვისებებს „დაიტოვებთ“ თქვენ როგორც პრეზიდენტი იმათგან, რომლებიც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობისას გქონდათ, და, უკაცრავად, რა თვისებებზე იტყოდით უარს?

პასუხები: დავრჩები იმად, რაც ვარ. ძალზე ბევრი სურვილი გამოთქვა, თქვენ გესმოდათ, რამდენი რამ და რა ფორმით ითქვა, როდესაც მე პრეზიდენტობის პრეტენდენტი აღმოვჩნდი. მიუხედავად ამისა, როგორც მე მგონია, მაქვს ერთი თვისება — ვიყო ის, რაც ვარ.

კიოდო ცუსინის საააგენტო (იაპონია): ღღეს ყრილობაზე მიღებულია დადგენილება, რომელიც ლიტვის პრობლემას ეხება. რა აზრისა ხართ თქვენ ამ იდეაზე, რომ მისი გადაწყვეტის ერთადერთი გზაა პოლიტიკური დიალოგი ლიტვასთან. და მეორე კითხვა. რამ მიგიყვანათ იმ აზრამდე, რომ აუცილებელია შეიქმნას პრეზიდენტობის ინსტიტუტი?

პასუხი: ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა გამოგვეთქვა ყრილობის დამოკიდებულება ლიტვაში მომხდარი მოვლენებისადმი და. ამ რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმე. მიგვაჩნდა, რომ ამას მოელიან ჩვენგან ლიტველი ხალხიც და ქვეყანაც, ხოლო ვინაიდან საქმე ეხება ომის შემდგომი განვითარების პროცესის ფარგლებში შექმნილ რეალობებს, — საკითხი ეხება ყველასაც, ვინც ევროპაში ცხოვრობს. დისკუსიის შედეგად ყრილობამ გამოიჩინა სიმტკიცე და პრინციპულობა: შეიფასა რა მიღებული გადაწყვეტილებანი, როგორც არამართლზომიერი, ყრილობამ შეაჩერა მათი მოქმედება და ამავე დროს დაადასტურა ყოველი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, დაადგა პრეზიდენტს უზრუნველყოს ამ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ადამიანის კანონიერი უფლებები, სსრ კავშირის ინტერესების დაცვა. მე ვიტყოდი, რომ ჩვენ არ ვაპირებთ ვაწარმოთოთ მოლაპარაკება, მაგრამ დიალოგი გვექნება, გვექნება პატივისმცემლური დიალოგი ლიტვის ხალხთან, მისი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან ჩვენი ურთიერთობის მომავლის საკითხებზე. მე მგონია, რომ ამას დრო დასჭირდება, ლიტველი ხალხი და კავშირი დაინტერესებული არიან მიაგნონ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, შეგვანარჩუნებენებენ კავშირს და უზრუნველყოფენ, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ბაზაზე, დიფერენციირებულ ფედერაციულ ურთიერთობას. თუ სამოლოო ანგარიშით რეფერენდუმის საფუძველზე ლიტვაში მცხოვრები ხალხები გადაწყვეტენ საბჭოთა კავშირიდან გასვლას, ეს უნდა იყოს პროცესი, რომელიც მოიცავს იმ საკითხთა მთელი კომპლექსის განხილვას, რის შედეგადაც რეალიზებული იქნება როგორც ლიტვის ისე საბჭოთა კავშირის ინტერესები.

ეურნალი „ალ-მუსავარი“ (ეგვიპტე): ჩვენ მოვისმინეთ ბევრი განცხადება ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ემიგრანტთა დასახლების შესახებ. რა გამოსავალს ხედავთ ამ სიტუაციიდან, თუ, ბუნებრივია, გავითვალისწინებთ თქვენს კანონმდებლობას:

პასუხი: დიახ, ჩვენ საერთაშორისო სამართალს შევუსატყვისეთ ჩვენი კანონმდებლობა ამ საკითხებზე. ამან შეცვალა მდგომარეობა და მე ვისურვებდი, რომ არაბულ სამყაროში არავის ეგონოს თითქოს ჩვენ რაღაცას ვაპირებთ, გარდა იმისა, რომ ჩვენ ამ საკითხსაც ვუდგებით საკაცობრიო ღირებულების, საერთაშორისო სამართლის პოზიციებიდან. ახლა ეს პროცესი უფრო დინამიკურ ხასიათს ატარებს. ვიდრე წინათ, მაგრამ ჩვენ მოგვდგომ, რომ უკვე უახლოეს ხანს ყველაფერი გაცილებით უფრო მშვიდად წარიმართება, და არ კარიდებთ თავს იმას, რომ ვითათბიროთ ამ საკითხებზე, ვინაიდან ისინი საერთო საზოგადოებას საგანს შეადგენენ, საჭიროა ურთიერთგაგების საფუძველზე, თანამშრომლობის სულისკვეთებით სწორად შეგიფასოთ ეს პრობლემა და ვიმოქმედოთ შესაბამისად.

გაზეთი „კრასნაია ზვეზდა“: თქვენ შეიარაღებული ძალების უზენაესი მთავარსარდალი ბრძანდებით. ახლა ბევრს ლაპარაკობენ სამხედრო რეფორმაზე, რა აზრის ამყოფთ ამ ცნებას?

პასუხი: ჩვენ გაგვიჩნდა ახალი სამხედრო დოქტრინა, და მისი რეალიზაცია მოითხოვს შეიარაღებული ძალების გარდაქმნას. ივივეს მოითხოვს განიარაღების პროცესები. სამხედრო რეფორმა უნდა ზორციელდებოდეს ქვეყნისა და მსოფლიოს ახლანდელი რეალური სიტუაციის კონტექსტით. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩვენი დამოკიდებულება შეიარაღებული ძალებისადმი, ღღეს მე ეს ერთხელ კიდევ ვთქვი, უცვლელია, ჩვენ ნიადაგ ვიზრუნებთ ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის. აქ დაგვიგროვდა პრობლემები, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ. თავდაცვითი რეფორმის შედეგად ჩვენ უნდა გვყავდეს თანამედროვე არმია, რომელიც გამოირჩევა სულ ცოტა ორი არსებითი მომენტით. იგი უნდა იყოს პროფესიულად მომზადებული და თავის განკარგულებაში ჰქონდეს თანამედროვე ეფექტიანი იარაღი.

გაზეთი „რუდე პრავო“ (ჩეხოსლოვაკია): როგორი იქნება დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ბუშთან შეხვედრისას, რომლებზეც თქვენ ლაპარაკობდით საპროგრამო განცხადებაში?

პასუხი: იქ პრობლემების დიდი პაკეტია მოსალოდნელი, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ დროისათვის უფრო მეტად ვიქნებით მზად შევთანხმდეთ სტრატეგიული შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების თაობაზე და ორივე მხარის ძალისხმევის შეოხებით შეეძლებთ ჩამოვაყალიბოთ ხელშეკრულების საფუძველი. ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ერთმანეთის გავუზიაროთ ბჩრი ევროპის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. ჩემი აზრით, აქ თანაბრმნიშვნელობის